328

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნობათი

ცალკე ნომერი ორი შაური

შაბათი, 25 მარტი

დღისით და ღამით მოყმენი
ნობათსა არ დასცდებიან...

შოთა რუსთაველი

**რედაქციის ადრესი:** ორბელიანის ქუჩა, 6.

---

## შინაარსი

1) მკითხველს.—დ. ერისთავი-მდივანისა.

2) თფილისი 24 მარტი.

3) საფრანგეთის ისტორიიდან.—კ. ო—სი.

4) რევოლიუცია და რეაქცია.—Bâton'-ისა.

5) ფსალმუნი დავითისი.—გ—ლისა.

6) კრიტიკა მონიზმისა.—შ. გ—სი.

7) მუშათა მოძრაობა.—***.

8) რუსეთის ცხოვრებიდან.

9) კორესპონდენცია.

10) ადგილობრივი ქრონიკა.

11) იოჰანნე მოსტი (ნეკროლოგი).

---

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება **სამშაბათობით** და **შაბათობით** 11—2 საათამდე. კანტორა ღიაა ყოველ დღე.

დაწვრილებითი ცნობები მე-4 გვერდზე ეხილეთ

---

1906

№ 1

თფილისი

# შედედებული სპირტი

# დენატურატ

არყის სახდელ ქარხნის პატრონთა კრების საბჭოს ნაწარმოები

პეტერბურგში

**„დენატურატ“**-ი სრულიად უშიშარია; წვის დროს სუნი არ აქვს; დიდად სასარგებლოა: ოჯახში სახმარებლად, ავადმყოფის მოვლის დროს საჭმლის მოსახარშად, ან საჭმელ-სასმლის გასათბობად; მეტად გამოსადეგია მგზავრობასა და ნადირობაში, აგარაკად ყოფნის დროს, სამხედროთათვის საზაფხულო ბანაკებზე, აგრეთვე ყველა ხელ-მარტოსათვის საჭმელ-სასმელის მოსამზადებლად და სხვ. და სხვ.

**„დენატურატ“**-ის ყუთს მიკრული აქვს განსაკუთრებული სამფეხის მაგიერი მავთულები, რომელზედაც ჭურჭელი დაიდგმება. ამგვარად მოწყობილი ყუთი მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ 1905 წლის 3 იანვარს № 24.720.

შედედებული **„დენატურატ“**-ი-შეიცავს 95,5%-ს ჩვეულებრივ 90% ჰაჰის სპირტისას და გირვანქის მეოთხედი (1/4) კმარა, რომ მთელის საათ-ნახევრის განმავლობაში ენთოს იგი.

ყუთები მუდამ გამოსადეგია „დენატურატ“-ის სახმარად: როცა ყუთში სპირტი სულ დაიწვება, უნდა ჩასდოთ იქ კვერ-კვერად ცალკე დამზადებული სპირტი „დენატურატ“-ი, რომელიც განსაკუთრებით დაბეჭდილ-შენახულია ცალკე ყუთში.

## „დენატურატ“-ის ფასები:

| | |
|---|---|
| ნახევარ-გირვანქიანი (1/2) ყუთი | 35 კაპ. |
| მეოთხედ-გირვანქიანი (1/4) „ | 25 „ |

**ცალკე ყუთში ჩაწყობილი** (სათადარიგო):

| | |
|---|---|
| ნახევარ-გირვანქიანი (1/2) | 25 კაპ. |
| მეოთხედ-გირვან. (1/4) | 15 „ |

შეგიძლიათ დაიბაროთ ამ ადრესით: Тифлисъ, „Бюро-Сотрудникъ“—Дворцовая, д. Сараджева, во дворѣ.

---

ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება

## „ვ ო ლ გ ა“

მიიღებს დასაზღვევად სახლები, ავეჯეულობა, საქონელი, ქარხნები და სხვ.

საზოგადოების სააგენტოს ადრესი: **ტფილისი, დვორცოვი ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, ეზოში.**

---

ახლად გახსნილი ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა

## „შ რ ო მ ა“

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65)

დებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ბროშურებს, გაზეთებს, აფიშებს, განცხადებებს, საქორწილო და სადარბაზო ბარათებს, ბლანკებს, კონვერტებს, ჩეკებს და სხვ.; საქმეს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი

# ნობათი

საყოველკვირაო გაზეთი

წელიწადი პირველი

№ 1 შაბათი, 25 მარტი 1906 წელი № 1

## მკითხველთ

—

შესაშური არ არის, ჩემო მკითხველო, საზოგადო მოღვაწის ხვედრი და მით უმეტეს, დღევანდელს პირობებში, უმადური ხვედრი რედაქტორ-გამომცემლისა. იშვიათ რჩეულთ ხვდებათ წილად, რომ ბედმა გაუღიმოს და მსახვრალი ხელი არ შეახოს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „ღმერთმა ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“-ო. ქვეყნად არ იქნებოდნენ ბედის მომდურავნი, რომ ბედის მადლიერნი არ იყვნენ.

ჩვენ კარგად გვესმის, რა მძიმე მოვალეობა გვარგუნა წილად გარემოებამ. გვესმის და ეს მძიმე ტვირთი მაინც სიამოვნებით თავს ვიდეთ იმ იმედით, რომ იქნება ცოტაოდენი წვლილი ჩვენც მივუძღვნათ იმ დიდებულ ტაძარს, რომელსაც არა ერთი და ორი ზვარაკი შეეწირა.

რომ ვთქვათ, ჩვენი გაზეთი ხალხის ინტერესების დამცველი იქნება და იმის მებაირაღტრობას გამოიჩენს მეთქი, ეს ჩვეულებრივი ფრაზა იქნება და ამას გარდა თავხედობაც, რადგან, საბედნიეროდ, ხალხი დღეს ისე უსუსური ბალღი აღარ არის, როგორც ამ უკანასკნელ დრომდე სთვლიდნენ მას ძალად მაცხონე „მარილნი ამა ქვეყნისანი“ და ტკბილ-ხმოვანად ტიკტიკობდნენ, რომ ხალხი, ეს ბუნების კანონს გარეშე მდგომარედ მიჩნეული ხალხი, ამ ტკბილის ტიკტიკით მოეხიბლათ და უფრო ყურმოჭრილ მონა-მოამედ გაეხადნათ.

წარვიდნენ დრონი ნეტარნი! ეხლა ხალხმა რამდენადმე მაინც იცის ვინ არის იმის ჭირისუფალი და ვინ არა. ჩვენ ბევრიც რომ ვიძახოთ საქვეყნოთ ჩვენი სურვილ-მისწრაფებანი, ეს არა ჰკმარა, რადგან ასეთს სიტყვებს რეკლამის სუნი ასდის ხოლმე.

დრო და თვით საქმე გამოაჩენს, ვის რისი უნარი აქვს და ვინ რას ემსახურება; ჩვენ-კი ვერ გავბედავთ და ადვილად ხელს ვერ წამოვკრავთ იმ წმიდათა-წმიდას, რომელსაც ხალხი და სახალხო საქმე ჰქვიან.

ვიმეორებთ, პასუხსაგები მოვალეობა გვარგუნა ბედმა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ვეცდებით იოტის ოდნადაც არ გადავუხვიოთ ერთხელვე არჩეულის გზიდან, თუმცა ეს გზა თვალსაჩინოდ მოლიპული და ეკლიანია.

დ. ერისთავი-მდივნისა

---

## ტფილისი 24 მარტი

I

ახალი გაზეთი, ახალი მიმართულება! რა დროსია, რა საჭიროა, იტყვის ზოგიერთი „საქმის კაცი“, უკეთესი არ იქნება დავივიწყოთ ყოველი თეორიული უთანხმოება, შევერთდეთ, რომ გავუმკლავდეთ სულთამხუთავ შავ ძალების მძვინვარებას? შავი ძალების გამკლავება რომ სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვაა ამ ზომა და სირცხვილ დაკარგულ რეაქციის დროს, მაგის ჩიჩინი ჩვენ არ გვჭირია. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით და გვრწამს, რომ რაკი ჩვენში იჩინა თავი ახალ აზრთ მიმდინარეობამ, საჭიროა და უფრო გონივრულიც იქნება, თვით ამ შავ ძალთა უფრო რეალურ წინააღმდეგობისათვის, ეს ახალი მიმართულება, ეს ახალ აზრთა მიმდინარეობა ახალ წრეში, ახალ საზოგადოებრივ ჯგუფში მოვათავსოთ. იდეია საზოგადოებრივ მომქმედ რეალურ ძალად მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ის ხდება ნიადაგად, საზოგადო ნიადაგზედვე მომქმედ ისტორიულ ცვლილებათა იარაღისა—ადამიანთა. უმთავრესი პირობა ადამიანის ნაყოფიერ მოქმედებისა, როგორც საზოგადო საქმეში ისე ბუნებასთან პირდაპირ ბრძოლაში არის კავშირი *), ორგანიზაცია, ძალთა და მისწრაფებათა შეერთება. მხოლოდ შეერთებული, შეკავშირებული ძალები შეიძლება გახდნენ ისტორიულ შემომქმედ იარაღად. რაც შეეხება ინდივიდუალურ ძალას და ინიციატივას, ის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არა თავისის პირდაპირ შემოქმედობითი შედეგებით, არამედ არა პირდაპირად, იმდენად, რამდენადაც ის აღვიძებს ხალხის მასსას, იყვანს მას მოქმედების სარბიელზე, აჩქარებს მის გონებრივ მომზადებას და შემოქმედებით მოძრაობის ნიადაგზე აყენებს.

ხოლო ძალთა შეერთება და შეკავშირება შესაძლებელია არა რაიმე განგებ, ხელოვნურად შექმნილ ინტერესებით ანუ პროგრამით, არამედ ისეთის იდეით, ისეთის ინტერესებით, რომელნიც შემუშავებული და დასაბუთებულია თვით ისტორიით და ისტორიულ მსვლელობით. ევროპის ცხოვრება სავსეა ისეთის მაგალითებით, რომელნიც დაურღვევლად ამტკიცებენ იმ აზრს, რომ შეერთებას რაიმე ხელოვნურ კავშირით სხვა და-სხვა მიმართულების, აღზრდის და ტემპერამენტის ადამიანთა, არავითარი ხეირიანი, ისტორიული შედეგი არ აქვს საზოგადო საქმისათვის. ისტორიულ ქმნილებისათვის ბევრად უმჯობესი იქნება, რომ ეს სხვა და სხვა ელემენტები დალაგდნენ სოციალურად მომქმედ კატეგორიებში, თვით სოციალური პროცესსი, ისტორიული ძალა შეადუღებს ამ სხვა და სხვა ჯგუფებში დალაგებულ ელემენტთა მოქმედებას და მოგვცემს ერთ საერთო რეზულტატს. მექანიკური შეერთება აზრთა და სიმპატიათა სხვადასხვაობისა კი უმეტეს ნაწილად მიზეზად ხდება კავშირის წევრთა ერთმანეთზე უნაყოფო ხეხვისა, შობავს მათ შორის სურვილს გაბატონებისას, დიქტატურისას და ის ენერგია, რომელიც კავშირს საზოგადო საქმის მოღვაწეობის ნიადაგზე უნდა დაეხარჯა, იხარჯება პარტიის შიგნით არსებულ უთანხმოების ჩასაქრობად და ჩასაფუჩეჩებლად. ამას გარდა—და ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია—ამგვარ კავშირში ყოვლად შეუძლებელია პირად ინიციატივის, ლოღიკურ გაბედულების და, მაშასადამე, სიმძლავრის აღმოცენება და განვითარება, რადგან ყოველი ხელოვნური, სხვა და სხვა, ჰრელ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან შემდგარი კავშირი აუცილებლად ცენტრალისტური უნდა იყოს, უამისოთ კავშირი ვერ იცოცხლებს, დაირღვევა. ცენტრალიზაცია კი პირად ინიციატივის, ლოღიკურ გამბედაობის

*) A. Espinas. Societés animales.

მომაკვდინებელი, დამხუთველი და დამჩაგვრელია *). პარტიის ისტორიული შემოქმედობითი სიძლიერე ბევრ, მაგრამ მოწინააღმდეგე ელემენტთა მექანიკური შეთანხმებით კი არ იქმნის; ამგვარად შექმნილი პარტია, რაც დიდი უნდა იყოს იგი, დროებით პარტიად დარჩება და თვალსაჩინო ისტორიულ როლსაც ვერ ითამაშებს. ხოლო მაშინ კი, როცა პარტია იქმნის გარკვეულ მიმართულების და იდეალის ნიადაგზედ, როცა ის შესდგება ისეთ ადამიანთა წრისაგან, რომელიც შეგნებულად, ჯიუტ თანდათანობით მიისწრაფვის ღრმად შეგნებულ მიზნისაკენ, ის, პატარაც რომ იყოს, მაინც უფრო დიდ მნიშვნელოვან ისტორიულ როლს ითამაშებს, მეტ კვალს დასტოვებს ცხოვრების მსვლელობაში და საზოგადოებრივ ტრანსფორმაციასაც უფრო თვალსაჩინოდ დაასვამს თავის ბეჭედს. ამგვარად შეთანხმებულ ადამიანთ, ე. ი. ისეთ ადამიანთ, რომელთაც მართლა, სიტყვის აზრის სავსებით, შეიძლება უწოდოს კაცმა **თანამოაზრენი,** არავითარი ცენტრალიზაცია, არავითარი ავტორიტეტი არ დასჭირდებათ მათ შორის არსებულ ურთიერთობის განსამტკიცებლად და დასაცველად—ისინი შეერთებულ იქნებიან უძლიერეს დამაკავშირებელ ძალით—საერთო მიზნის ღრმად შეგნებით. სწორედ ამიტომ ყოველთვის, როცა კი საჭიროება მოითხოვს, ისინი მზად იქნებიან ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გამოვიდნენ საერთო მტრის საწინააღმდეგოდ.

თუ ის საჭიროა, რომ პარტია ჭრელ, უკუღმართ და დროებით შეთანხმებულ ელემენტებისაგან არ იყოს შემდგარი, ის კიდევ უფრო საჭიროა, რომ ის პრინციპები, რომელთა ნიადაგზეც ხდება პარტიული შეთანხმება, თავად არ იყვნენ დროებითი, შემთხვევითი, ინტელიგენტურ ტვინის კაპრიზის შენათხზი პრინციპები. მიმართულების არჩევაში, რასაკვირველია, საჭიროა სიფრთხილე და არა სიფრთხალე, კრიტიკული აზრი და არა უნაყოფო სკეპტიციზმი, ისტორიულ ფაქტთა გათვალისწინება. ეხლახან ხალხოსნობა მოდაა და ამისათვის თვით ცხოვრებაზე მოწყვეტილ კაბინეტში, ამ აბსტრაქციის საბუდარში ძალით, მეტაფიზიკურის ვაივაგლახით გამოჩეკილ თეორიებსაც კი ხალხის მისწრაფებათა სინტეზად, მის მუდმივ იდეად სახავენ და ეს იმისათვის, რომ ხალხი მიიზიდონ; ის საჭიროა: სხვები თუ ლაპარაკობენ და პროგრამასა და დეკრეტებსა სწერენ—მათი გასახორციელებელი ძალა მხოლოდ ხალხს მოეპოება. მაგრამ ჩვენ კი არ შეგვიძლია ყველა ის თეორიები, რომელთაც მათი ავტორები ხალხის მისწრაფებათა სინტეზად სახვენ, მართლა ხალხოსნურ იდეიად მივიღოთ, თუ დაკვირვებითი განხილვა ისტორიისა არ დაგვიმტკიცებს, რომ ეს თეორია მართლა ხალხის მისწრაფებაში, მართლა ხალხის მოძრაობაში იღებს დასაბამს. ისტორია კი სოციალურ საკითხის მხრივ მხოლოდ ორ მიმართულებას, ორ აზრთა მიმდინარეობას იცნობს: ერთია პრინციპი აზროვნებისა და მოქმედებისა მაღლიდან ქვევით, როგორც ამბობდა მ. ბაკუნინი, პრინციპი მთავრობითი, სახელმწიფოებრივი, ავტორიტარული მეორე—პრინციპი მოქმედებისა და აზროვნებისა ქვევიდან ზევით, ხალხოსნური, არა მთავრობითი, არა სახელმწიფოებრივი, არა ავტორიტარული. ვიმეორებთ კიდევ, რომ სოციალისტურ ნიადაგზე მხოლოდ ამ ორ ერთმანეთის მოწინაალმდეგე მომქმედ პრინციპსა სცნობს ისტორია და რაც უნდა ბევრი ეცადონ, მესამე, საშუალო, არც აქეთა და არც იქითა პრინციპის შექმნას, ყოველი ცდა ამაოდ ჩაივლის, რადგან განგებ შექმნა ამა თუ იმ ხელოვნურად შემუშავებულ პრინციპისათვის ისტორიულ დასაბამისა შეუძლებელია, ეს ადამიანის შემოქმედებით ძალას აღემატება. მაშ ერთად ერთი გზა-ღა დაგვრჩენია. ეს გზა ის არის, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენი მიმართულება ისტორიისაგან შექმნილ და გამორკვეულ ტენდენციაზე დავამყაროთ და რადგან ისტორია სოციალიზმის მხრივ მხოლოდ აღნუსხულ ორ მიმართულებასა სცნობს, ჩვენც ან ერთი უნდა ავირჩიოთ ან მეორე.

ჩავუკვირდეთ ამ ორ ისტორიულ ტენდენციას, ვნახოთ რა ხასიათისაა ის.

მას მერმედ, რა კი ხალხის ისტორიული განვითარება დაიწყო, ყველგან და ყოველთვის საზოგადოებაში ორ, ერთმანეთის მებრძოლ, ძალას ვხედავთ: ერთის მხრით შემოქმედებითი ძალა ხალხის მასსისა, რომელიც ფაქტიურად ჰქმნიდა და ჰქმნის როგორც მატერიალურ კულტურას, ისე მის გასავითარებელ ძალებს, იმუშავებს თავის ცხოვრების პროცესში, ცხოვრებისათვის ბრძოლაში, საზოგადოებრივ ჩვეულებებს (обычаи), საზოგადოებრივ დაწესებულებებს, საზოგადოებრივი ცხოვრებისვე გასაადვილებლად. ამგვარ ხალხოსნურ ქმნილება-დაწესებულებათ ეკუთვნიან: სასოფლო თემები (сельская община), თემობრივი მსაჯულება (мірской судъ), სამრეწველო არტელი, თავისუფალი რესპუბლიკა—ქალაქები და იქ აღმოცენებული ნასახი საერთაშორისო უფლებისა (международное право) და სხვა დაწესებულებები კიდევ. ყველა ეს დაწესებულებები, რომელთაც ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში, შექმნილ იყვნენ არა გამგეთაგან, არა კანონ მდებელთაგან, არამედ ხალხის თავისუფალ შემოქმედებითი ძალით.

მაგრამ ამ მიმართულებას თავისი ანტაგონისტი ჰყავდა ისტორიაში. ეს ანტაგონისტი თავისუფალი ხალხობრივი შემოქმედებისა მთავრობითი პრინციპია და ეს მიმართულებაც დასაწყისიდანვე მოსდევს კაცობრიობის ისტორიას. თავიდანვე მოგვები და თვალთმაქცები, ქურუმები და თავადები მებრძოლი, თუ მოთარეშე რაზმებისა სცდილობდნენ ხალხზე გაბატონებას, მის დამონავებას და ეს იმისათვის, რომ ხალხი მწველელ ფურად, კმაყოფილების და ბედნიერების იარაღად გაეხადნათ თავისთვის. ამ ორ მიმართულებათა—ხალხოსნურ, თავისუფალ—შემოქმედებითს და ინდივიდუალისტურ - მთავრობით -— შორის მუდმივი ანტაგონიზმი, ბრძოლა არსებობდა, რამაც აღმოუფხვ'ელი ნიშანი დაადო კაცობრიობის და მის დაწესებულებათა განვითარების ისტორიას. საზოგადოებრივ დაწესებულებათ, რომელნიც შექმნილ იყვნენ ხალხისაგან არა კერძო მოთხოვნილებათა იარაღად, არამედ საზოგადოების ინტერესების უზრუნველ საყოფად, ჩვენგან აღნიშნული მეორე ისტორიული ტენდენცია (სახელმწიფოებრივი) სულ მუდამ ებრძოდა, რომ მათთვის თავისი კასტისებური ან კლასობრივი ელფერი მიეცა. სახალხო ძალა კი იცავდა და ინახავდა მათ, წინ სვლა ამ დაწესებულებათა, განვითარებისა ჩერდებოდა, მათი გაუმჯობესების საქმე ფერხდებოდა, ამნაირად ისინი ჰკარგავდნენ ერთობას ხალხის შემოქმედ ძალებთან, აღარც ეგუებოდნენ მის მოწინავე ნაწილის მისწრაფებათ და ნელ-ნელა, ის, რაც შექმნილ იყო გან-

*) იხ. Взаимная помощь. П. Кропоткинъ С.-Петербургъ.

ვითარების, წინსვლის იარაღად, ხდებოდა კონსერვატიზმის იარაღად, განვითარების და წინსვლის შემზღუდველად. ეს დაწესებულებანი ამგვარად თავიანთ პირველ დანიშნულებას სცდებოდნენ და საზოგადო უკმაყოფილებას იწვევდნენ. საზოგადოებაც სდგებოდა მათ წინააღმდეგ. მაგრამ ზოგნი, ამ კონსერვატორულ ძალად ქცეულ დაწესებულებათა წინააღმდეგ მებრძოლნი, იმას კი არ ცდილობდნენ, დაენგრიათ ეს მჩაგვრელად ქცეული დაძველებული დაწესებულებები, ისინი ხელმძღვანელობდნენ თავიანთ კასტიურ თუ კლასიურ ინტერესებით და იმათ ისეთნაირად მოწყობას ესწრაფოდნენ, რომ თითონ დაეჭირათ ამ დაწესებულებებითა დახმარებით უპირატესი ადგილი საზოგადოებაში, გაეხადათ ისინი თავის კლასიურ ინტერესების ორგანოთ, რომლის უმთავრეს მიზნად მათთვის პოლიტიკურ და ეკონომიურ პრივილეგიების მოპოება და განმტკიცება უნდა გამხდარიყო. საუბედუროთ, ამ ნიადაგზე მომქმედი ჯგუფი იყოლიებდა თან, თან წარიტაცებდა ხალხის ერთ ნაწილსაც, რომელიც ამგვარად რეაქციისა და კონტრრევოლიუციების იარაღად ხდებოდა. ჭეშმარიტება მოითხოვს აღვიაროთ, რომ ის ნაწილი **ხალხისაც** კი, რომელიც ხანდახან ხელს უწყობდა რეაქციასა და კონტრ-რევოლიუციას, არ ყოფილა არაოდეს შეგნებული მომხრე რეაქციისა და კონსერვატიზმის. ხალხის დიდი მტერი ერთი მხრით დემაგოგიაა, მეორეს მხრით—მისი საკუთარი გულუბრყვილობა და გაურჩევლობა. რეაქცია და კონსერვატიზმი ხომ სხვა და სხვა დაპირებებით, კარგის **სიტყვებით** ხიბლავს. რეაქცია ყოველთვის სცდილობდა და ყოველთვის სცდილობს თავის სიბნელის და სიმხეცის სიყვარული **უმრავლესობის** სამსახურის სურვილით გაამართლოს და ხალხიც, ეს მუდმივი და გულკეთილი ბავშვი, ხანდახან უჯერებს მას.

ისტორიაში რომ მხოლოდ ამ მთავრობით პრინციპზე დამყარებული ოპოზიცია მოქმედებდეს, ის ხომ ხალხის შეგნების, კულტურის ისტორია არ იქნება. იმგვარი ისტორიული მომენტები, სადაც მთავრობითი პრინციპი მეფობს ენაშეუბრუნებლად, სოციალურ გუბეს, ერთ ადგილზე დგომას, სიბნელესა და ვაგლახობას წარმოადგენს. საბედნიეროდ, მის წინააღმდეგ მუდმივ იბრძვის მეორე, შემოქმედობითი პრინციპი, პრინციპი არა მთავრული, არა სახელმწიფოებრივი. ის არის ის შურდული, რომელიც აპობს წარსულის ბნელეთს, გზას უკაფავს მომავალს. ჯერ არ მომხდარა, რომ არა-მთავრულ, არა სახელმწიფოებრივ პრინციპს ხანგრძლივი გამარჯვება ღირსებოდეს, მაგრამ თუ ისტორიაში პროგრესსა ვხედავთ, როცა ვუკვირდებით იმ პირობებს, რომელშიაც ეს პროგრესიული სვლა ხდებოდა, ვრწმუნდებით, რომ პროგრესსიულ ნაბიჯს ადგამდა ისტორია არა-მთავრობითი, არა სახელმწიფოებრივი პრინციპის დროებით გამარჯვების დროს. ყოველთვის დიდი პროგრესსიული ისტორიული ცვლილებანი ხდებოდნენ სახელმწიფოებრივი პრინციპის დამარცხების წამებში. ამ არა-მთავრობითი, არა-სახელმწიფოებრივი იდეით ამოძრავებული სოციალური ჯგუფი სცდილობდა სწორედ, რომ გარდაექმნა დაძველებული, კონსერვატიზმის იარაღად ქცეული დაწესებულებანი არა თუ კასტის ანუ კლასის ინტერესებისამებრ, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებისამებრ. განსაკუთრებით ის სცდილობდა მოეშორებინა თავიდან თავადობითი ულელი, რომელიც მათ ისტორიულ მიზეზთა რთულმა გარემოებამ გადააცვა კისერზე. ამგვარ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნის ყველა რეფორმატორი სარწმუნოებრივ, ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობისა. მაგრამ თვით ამ რეფორმატორთა შორის ორი აღნიშნული, ერთმანეთის მოწინააღმდეგე პრინციპი ერთმანეთს ხვდებოდნენ და ეჯახებოდნენ. ერთის სიტყვით ყოველ საზოგადო საქმეში, ყოველ ხალხურ მოძრაობაში სახელმწიფო და მისი უარმყოფი ანარქია იჩენდა თავს და რეფორმის ანუ მოძრაობის შედეგი ცოტა თუ მეტ მნიშვნელოვანი ხდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ამ ორ პრინციპთაგანი გაიმარჯვებდა. ყოველ გამარჯვებას, თუნდ დროებითს, ანარქიისას საზოგადოებრივი პროგრესი შეჰფერდებოდა, ყოველ გამარჯვებას სახელმწიფოებრივ პრინციპისას კი—საზოგადოებრივი დაცემა. აღმოსავლეთის დესპოტიები, რომის იმპერია, გამარჯვება სახელმწიფოებრივ პრინციპისა საფრანგეთის კომუნებზე, იტალიის ქალაქრესპუბლიკებზე და სხვა, იყვნენ ხანები რეაქციისა და ან კულტურულ სლვის შეჩერებისა *).

*) იხ. La civilisation et les grands fleuves hystorique. L. Metchnikoff Paris 1889.

რეფორმატორთა შორის აღნიშნულ სხვადასხვაობას გამგე პრი[illegible] შედეგი ჰქონდა, რაც სხვა აღნიშნულ შემთხვევებში; ის მათ ჰყოფდა ორ ბანაკად: პირველი იყო ბანაკი პასიურ რეფორმატორთა, რომელნიც თავიანთ მიზნების განსახორციელებელ იარაღად ხმარობდნენ დაჯერებას, ქადაგებას, ხვეწნა-მუდარებას და განურჩევლად მიმართვიდნენ ხოლმე საზოგადოების ყველა კლასსებს, ყველასაგან ელოდნენ შველა-დახმარებას. ამაში მდგომარეობდა, რამდენადაც ამგვარი ტიპი რეფორმატორთა შენახულ იქნა დღემდე, მდგომარეობს კიდევ მათი უტოპიზმი. ამგვარ რეფორმატორებს სწამთ მხოლოდ ძალა უმრავლესობისა და ამისთვის მზად არიან იცადონ იქნამდის, მანამ ეს უმრავლესობა არ მიემხრობა მათ და შეძლებას არ მისცემს მათი მიზნის განხორციელებისას. მეორე ბანაკი ერთგული იყო თავის წარმომშობ ისტორიულ ტენდენციისა, და მის წარმომადგენელთ არ სურდათ, **ყველას, უმრავლესობის** ცდა თუ გადევნა, რადგან შეგნებული ჰქონდათ, რომ **ყველა, უმრავლესობა** ცოტა არ იყოს ზანტია ისტორიულ ქმნილების მხრივ და ამისათვის საჭიროდ მიაჩნდათ თითონ აეღოთ თავის თავზე ინიციატორობა ახალ აზრებისთვის გზის გაკაფვისა. სადაც შესაძლებელი იყო, **ერთად**, სადაც არა—ცალ-ცალკე სცდილობდნენ სიტყვით და საქმით გაეღვიძებინათ ხალხის გულში მოქმედების და შემოქმედობის სურვილი. ამისთანა კაცებს, ეხლანდელი სიტყვა რომ ვიხმაროთ, რევოლიუციონერები ეწოდებათ და, მაშასადამე, ეს რევოლიუციონერები დღეს ან გუშინ კი არ შობილან, არამედ თვით ისტორიის დასაწყისიდან არსებობენ. სპარტაკი, გრაკხები, ჰარმოდიუსი, ბრუტი, კატილინა თავიანთ დროს რევოლიუციონერები იყვნენ. მაგრამ ისეთია სიმძლავრე აღნუსხულ ორ ანტაგონისტურ პრინციპისა, რომ ის ამ უკანასკნელთა შორისაც იჩენდა თავს და როგორც საზოგადოთ რეფორმატორთ, ჰყოფდა ორ ჯგუფად: ერთ ჯგუფში თავსდებოდნენ ის ელემენტები, რომელნიც ებრძოდნენ დაწესებულ მთავრობას და მთავრობით ძალას, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ისინი პრინციპიალური მტერნი იყვნენ მთავრობითი პრინციპისა და მათი სრული განადგურება სურდათ. მათ, პირიქით, მთავრობითი პრინციპი და მასზე აშენებული ორ-

განიზაციის საჭიროება სწამდათ, მათ უნდოდათ მხოლოდ ეს მთავრობითი პრინციპის გამომხატველი ორგანო— სახელმწიფო ჩაეგდოთ ხელში, რომ იმის შემწეობით მოეხდინათ ის საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია, რომელიც მათ მიაჩნდათ საჭიროთ. მაგრამ სახელმწიფო მანქანის ხელში ჩაგდება ერთობ რთული და ძნელი საქმეა, მხოლოდ ხალხის კოლლექტივურ ენერგიას შეუძლია ასეთი რამ მოიმოქმედოს და იაკობინელებიც ხალხს მიმართავდნენ ხოლმე: ოღონდ დაგვეხმარე, სახელმწიფო მანქანა ჩაგვაგდებინე ხელში და პირობას გაძლევთ, ის მხოლოდ შენი ხალხური ინტერესების დასაცავ იარაღად ვიხმაროთო. ისტორიის მცოდნე მკითხველმა იცის, რომ ამგვარ ანკესით ძალიან ხშირად იჭერდნენ ხალხს. ამგვარად შეიქნა მთავრობითი ძალა კეისარისა იმპერიალურ რომში *), ამგვარადვე აღმოცენდა ძალა ეკლესიისა რომის დაცემის მომდევარ საუკუნეში და დიქტატორობა საშუალო საუკუნოების თავისუფალ ქალაქ-რესპუბლიკების ნანგრევებზე. ეს იაკობინელ რევოლიუციონერთა ჯგუფია. ის იაკობინურ ტენდენციას წარმოადგენდა ისტორიაში და სწოდედ ამ ტენდენციას ეკუთვნიან ყველა არსებული და ყოფილი სახელმწიფოებრივი პრინცაპის მომხრე პოლიტიკური პარტიები **).

მეორე ჯგუფი წარმოადგენდა მეორე ისტორიულ ტენდენციას, რომელიც ახასიათებს საზოგადოებათა ისტორიულ მსვლელობას და რომელმაც იჩინა თავი უკვე ძველ საბერძნეთის კულტურულ ზრდის დროს. ეს ჯგუფი სცდილობდა არა თავადობითი უფლების ხელში ჩაგდებას, არამედ სრულიად მოსპობას ყოველ ძალდამტანებელ ორგანიზაციისას, რადგან ეს უკანასკნელი ამა თუ იმ მიზეზთა მეოხებით ყოველთვის მჩაგვრელად აწვება თავზე ყველა მართლა საზოგადოებრივ დაწესებულებათ. ამ ჯგუფის წარმომადგენელთ ჩვენ ვხედავთ ყველა დიად ისტორიული ცვლილების სათავეში. სოციალურ ცხოვრების გამგე პრინციპად თავიანთ საზოგადოებრივი მოქმედებისა ისინი ყოველთვის აღიარებდნენ ინდივიდუალურ და ხალხობრივ ინიციატივას და თვითმოქმედებას და რაკი მათ ასეთ მისწრაფებას წინ ეღობებოდა ყოველთვის გაბატონებული მოძალე, მჩაგვრელი ორგანიზაცია გაბატონებულ კლასთა, ისინიც სცდილობდნენ მოეშორებინათ თავიდან ის და მით გზა გაეკაფათ ხალხის და ინდივიდის შემომქმედ თვით-მოქმედებისათვის. ძველ საბერძნეთის და განსაკუთრებით საშუალო საუკუნოების ქალაქ-რესპუბლიკების ისტორიაში ჩვენ ვპოულობთ უთვალავ მაგალითებს იმისას, თუ რა საშინელის თავგანწირვით იბრძოდა ხალხის უკეთესი ნაწილი ამ პრინციპის გასამარჯვებლად. აქ ჩვენ დავასახელებთ ფლორენციის რესპუბლიკას, პსკოვის ფორუმისებურად მოწყობილ რესპუბლიკას, ნოვგოროდს და სხვა. ყველა ეს ფორმები საზოგადოებრივ ცხოვრებისა შემუშავებულ იქმნენ ხალხისაგან იმ მოსაზრებით, რომ აეცდინათ თავიდან დამჩაგვრელი ბატონობა თავადობითი პრინციპისა საზოგადოებაში. ხალხური მოძრაობა ყველგან და ყოველთვის იყო და არის ამ თავისუფალ შემოქმედებისადმი მისწრაფებით. პირველ ქრისტიანეთა მოძრაობა, რომელიც იული კესარის მმართველობის დროს დაიწყო, მიმართული იყო რომის კანონის, იმის სახელმწიფოებრივ პრინციპის და ზნეობის წინააღმდეგ. თუ რომ ამ მოძრაობის პირველ ხანას ავიღებთ და არა იმ ხანას, როცა კონსტანტინეს მეოხებით დაიწყო მისი გარყვნა, მასში ანარქიულ ელემენტების არსებობა ძალიან თვალსაჩინოა, აგრეთვე ანაბაპტისტთა მოძრაობა, რომელმაც დასაბამი მისცა რეფორმაციას დახასიათებული და აღფრთოვანებული იყო იმავე სახელმწიფოს, ძალადობის უარმყოფელ რწმენა-პრინციპით, სანამ ლიუტერმა ის არ დაუახლოვა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ სურვილს და მით არ გარყვნა ის. ინგლისში საუკეთესო დღეები უატ ტაილორის აჯანყებისა შექმნილია იმავე პრინციპის სიყვარულით, იმავე იდეალისაკენ მისწრაფებით. რაც შეეხება საფრანგეთის დიდ რევოლიუციას, ამ პრინციპმა იქაც ნახა თავის გამოხატულება, მაგრამ არა კონვენტში, არამედ ხალხის მიერ შექმნილ კომუნაში 1793 წლისა. თვით დიდი რევოლიუციის გონებრივ მომმზადებელთა შორისაც ჰყავდა ამ პრინციპს თავის დამცველი და საყურადღებოა, რომ სწორედ რაციონალისტები და თავის დროისდა შესაფერად ბუნების კანონების მკვლევლელ-გამომძიებელნი ექ[illegible]ბოდნენ მას—დიდრო, [illegible] და სხვ. თანამედროვე ცხოვრებაშიც ეს ორი პრინციპი ებრძვის ერთმანეთს, ბრძოლა მათ შორის ჯერ არ გათავებულა, მაგრამ ყოველივე ამტკიცებს, რომ ისტორია თავადობითი პრინციპის დამარცხების დღის მოახლოვებას აჩქარებს. ამ ისტორიულ პროცესსის ხელის შეწყობა დღეს ყოველივე საღ საზოგადოებრივ ელემენტთათვის მოვალეობათ გამხდარა. რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოების საღი, შეგნებული ნაწილიც ამ ისტორიულ პროცესს უნდა დაემორჩილოს, მეტი გზა არ არის, რადგან თუ ასე არ მოიქცა, ის და მასთან ერთად მთელი საზოგადოება ისტორიას ჩამორჩება ან ისტორიის გარეშე დარჩება.

*) Histoire des révolutions arrivées sous des Républiques Romaines, par abbé Uartot. 1747.

**) ზოგიერთი აქ მოყვანილი მაგალითები ნასესხები გვაქვს Niueteenth Century-ში დაბეჭდილი სტატიებიდან.

---

## რევოლიუცია და რეაქცია

### I.

აღუსრულდა რუსეთის საუკეთესო შვილებს დიადი იმედი, — იმედი რევოლიუციისა. რუსეთშიაც დაჰბერა რევოლიუციის ქარიშხალმა და წარღვნით დაემუქრა ძველ წყობილებას. რუსეთშიაც მოხდა პირველი დიდი შეტაკება მშრომელ ხალხისა და მონათ-მფლობელ-მყვლეფელთა შორის. რუსეთშიაც აღმოხეთქა განთავისუფლების იდეის ალმა და დაიწყო განწმენდა ძველ, დახავსებულ უმეცრებისა და მონობის ბინძურ უფსკრულისა.

მთელი სამი საუკუნე იარა რევოლიუციამ ევროპიდან რუსეთამდე და, როგორც იყო, მოაღწია ჩვენამდის 1905 წელს.

და როგორათაც მიმდინარეობდა განსაკუთრებით საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, ისე მიმდინარეობს რუსეთის დიდი რევოლიუციაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თანამედროვე რევოლიუცია შეიარაღებულია მთელის მეცხრამეტე საუკუნის მიერ ნაანდერძევ იდეებით—სოციალიზმის იდეებით, რომლითაც რევოლიუციამ უნდა ისარგებლოს და სარგებლობს კიდეც, რადგანაც არ შეიძლება მთელი საუკუნის განმავლობაში ნაშრომი მთელი ევროპის შემოქმედებითი ენერგიისა უნაყოფოდ დარჩეს ისეთ ჩამორჩენილ კუთხისთვისაც კი, როგორიც არის რუსეთი, მეტადრე რევოლიუციონურ ხანაში, როდესაც მთელი ქვეყნის აზროვნება სდუღს და მოძრაობის პროცესში ათასნაირ ფორმას იღებს.

რუსეთის რევოლიუცია ისეთნაირად

მიმდინარეობს, როგორც საფრანგეთისმეთქი, ვამბობთ, და ეს იმას კი არ ნიშნავს აუცილებლად, რომ ტიპები რევოლიუციონერებისა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში და მეოცეს დასაწყისში ერთმანეთსა ჰგავდეს, ან სახელ. მწიფო სათათბირო „Les Etats Généraux“-ს, ან ბასტილიის აღება შლისელბურგის გაუქმებას,—სრულიადაც არა: მსგავსება რევოლიუციათა შორის მათ შინაარსში უნდა ვეძებოთ მხოლოდ.

მართლაც დიდი რევოლიუციები ერთმანეთსა ჰგვანან, მათ აქვსთ ერთი უმთავრესი თვისება, რომელიც ყველა ხალხთა დიდ მოძრაობაშია შემჩნეული. ეს თვისება ჰქმნის რევოლიუციათა სიდიადეს, მათ ესსენციას იგი შეადგენს, და სწორედ მისი ეშინიათ ძველი წესების დამცველებს, ეშინიათ აგრეთვე მათ, ვისაც რევოლიუციით **სარგებლობა** ჰგონიათ ნამდვილი რევოლიუცია და ახალი ტიპის მონობას ამყარებენ ძველის ნანგრევებზედ, ზოგნი კი „მინიმალურ პროგრამმას“ არდგენენ **როვლიუციის დაწყებამდე, მის მოლოდინში,** რომ ახალი მონობა დაამყარონ თავიანთ ბატონობით,—ნებსით თუ უნებლიეთ—ეს სულ სხვა კითხვაა.

ეს დედა-ძარღვი რევოლიუციისა, ეს აზრი, ესსენცია მისი არის:—უარ-ყოფა გაბატონებულ კლასთა პრივილლეგიათა და დესპოტიზმისა—1) უარ-ყოფა კერძო საკუთრებისა და 2) უარ-ყოფა ძალ-დატანებაზედ აშენებულ-აღმოცენებულ სახელმწიფოსი, ე. ი. რასაც მთავრობა და რედაქციის ვირთხები თავიანთ პოლიციურ ჟარგონრედ **ანარხიას** ეძახიან,—ხაოსს, დანგრევას, დალუპვას, განადგურებას, მთელი კაცობრიობის გარყვნას და საფლავში ჩასვენებას, ერთი სიტყვით მიწაზედ ცეცხლად მოვლინებულ ცოჯოხეთს მთელის თავისი საზიზღარის სახითა და სუნით. იტალიელი ფილოსოფოსი ჯუზეპპე ფერრარი *), ამბობდა—რევოლიუცია რევოლიუცია არ არის, თუ მისს შინაარსს არ შეადგენს საკუთრების უარ-ყოფაო, აგრეთვე ამერიკელი ისტორიკოსი ჯემსი ამბობს*)—რევოლიუცია უანარხიოდ წარმოუდგენელიაო. თრთის და შიშის ზარით იპყრობა ყოველივე დიდი რევოლიუციის დროს მთელი საზოგადოების დამამშეველი ელემენტი, თრთის და თანაც მძვინვარებს ყოველთვის მისი დამცველი შეიარაღებული მონა—სახელმწიფო, საცოდავად წუწუნებს აზრით ლაჩარი გაიძვერა „თანამგრძნობელი“ რევოლიუციისა,—წუწუნებს და იწვევს [illegible]რებაზედ მთელ რევოლიუციას,—მიდგრად იბრძვის თავისი სა[illegible]ნოპისათვის სასტიკი იაკობინელი და აზრით არა ნაკლები ლაჩარი თანამედროვე მინიმალისტი;—მოჩვენება ახალი საზოგადოებისა მათ აბრმავებს, ახალ ზნეობრივ ღირებულებათა შემოქმედების ნიჭი მათ არ შესწევთ, ახალი პრინციპი საზოგადოებრივობისა, რომლის გარეშემოც ტრიალებს მთელი დიდი რევოლიუცია, მათ არ ესმით,—და ზოგი მათგანი ძველისაკენ მიიწევს, უკან—რეაქციისაკენ, ზოგიც ძველ ღირებულებათ, ძველ სოციალურ შენობას, ძველ საზიზღარ განწყობილებათ კაცთა შორის ხელ-უხლებლივ სტოვებს,—მხოლოდ სხვა სახელით, და თავისი აზრის სიმხდალე და სილაჩრე რევოლიუციის დამთავრება ჰგონია, თუ განსაკუთრებით მრავალ ადამიანთა სისხლით შეღება ეს სახელი, და მხოლოდ სახელი მისგან დამყარებულ ძველის მსგავს საზიზღარ სოციალურის ჭაობისა.

რევოლიუცია კი ტიტანიური ბრძოლაა ადამიანთა შორის, აზრთა შორის, ზნეობრივ ღირებულებათა შორის; რევოლიუცია დანგრევისა და შემოქმედების პროცესია, და რომ ეს დიადი დრამა ისტორიისა კაცმა წარმოიდგინოს, ამისათვის საჭიროა რევოლიუციის შემ-

*) იხ. მისი წიგნი: La Filosofia della Rivoluzione.

*) იხ. მისი წიგნი: The history of the French Revolution. და Origin ofe Anarchism.

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## საფრანგეთის ისტორიიდან (71 წ. 18 მარტი *).

ის არ მომკვდარა.
ე. პოტიე.
(Elle n'est pas morte).

სიბილწესა, გახრწნილებასა და დანაშაულობაში შობილი მეორე იმპერია მიწურული იყო. მთელი ოცი წლის განმავლობაში „დეკემბრის დამნაშავე“ თავის უნამუსო პოლიტიკით სცდილობდა გაერყვნა და ტალახში ამოესვარა ყოველი ის, რაც ასაზრდოებდა, სულს უდგამდა და ანუგეშებდა საუკეთესო ნაწილს საფრანგეთის ხალხისას. რომ ცოტა არ იყოს დაევიწყებინა ხალხისთვის ის, რომ მისი „იმპერატორის გვირგვინი“ დანაშაულობითა და ღალატით ჰქონდა შეძენილი, ვიქტორ ჰიუგოსაგან „პატარად“ წოდებული ნაპოლეონი დემაგოგიასაც არ ზოგავდა: ყოველგვარად იქცეოდა და იგრიხებოდა, რომ ხალხის ყურადღება მიექცია, უშნოდ, გარყვნილ-ბებრულად ინტერნაციონალსაც კი „ეარშიყებოდა“, უნდოდა მოესყიდნა ის, რომ შემდეგ თავის ანგარიშულ მიზანთა მისაღწევად ეხმარა დიდებული კავშირი. მაგრამ ყოველმა ცდამ ამ სულით და გონებით „პატარა ნაპოლეონისამ“ ამაოდ ჩაიარა: მუშები ადრე მიხვდნენ, რომ ის კაცი, რომელიც დაიხარა, რომ თავისი გვირგვინი სისხლით და ღალატით შეზავებულ ტალახისაგან ამოეღო, სანდო არ იყო და ზიზღით უარჰყვეს ყოველი მისი წინადადადება. იმპერია და თვით პირადობა იმპერატორისა ამ დღიდან ზიზღისა და დაცინვის საგნად იქნა არჩეული მუშებისაგან. პატარა ნაპოლეონმა ამაზე მკაცრი დევნით, ინტერნაციონალის „აკრძალვით“, მისი წევრების ციხეში ჩასმით გასცა პასუხი, მაგრამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. ინტერნაციონალიც იზრდებოდა, მუშათა ორგანიზაციებიც; თვით ოპპოზიცია იმპერიისადმი იზრდებოდა, ზიზღი მისდამი ზღვის მორევად ხდებოდა, პატარა ნაპოლეონი თავის სულმთლად დაპატარავების დღის მოახლოვებას გრძნობდა. ერთი სიტყვით, მეორე რესპუბლიკის სისხლში შობილი მეორე იმპერია საერთო სიძულვილის ქვეშ იგლისებოდა და არ იცოდა, როგორ გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან. აი მიზეზი, დასაბამი იმის პოლიტიკის ავანტიურიზმისა, რომელმაც ეს ტალახსა და ზიზღში შობილი იმპერია ტალახსა და ზიზღში ჩაჰკლა.

1870 წ. 4 სექტემბერს, ე. ი. სედანის მეორე დღეს, საფრანგეთში რესპუბლიკა მესამედ იქნა გამოცხადებული, ომი კი ჯერ გათავებული არ იყო: პარიზის პროლეტარიატი შოვინისტი არ არის, მაგრამ ის ერთობ თავმოყვარეა და სწორედ ამისათვის არ უნდოდა, რომ პარიზში, ამ „რევოლიუციის აკვანში“ „პრუსსიელი“ შემოსულიყო და ამისათვის ის იარაღს არა ჰყრიდა და თხოულობდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლის განგრძობას. ეს გასაკვირველიც არ არის, რაკი ის შინაგან იმპერიას მოერია და დაამხო, არც პრუსიის ძლევამოსილი იმპერალიზმი უნდოდა შემოეშვა იმ ქალაქში, რომლის თითქმის ყოველი ქუჩა მორწყულია მისი სისხლით. ახალ რესპუბლიკის მთავრობა კი სიძულვილის თვალით უცქეროდა პროლეტარიატს, გული მოსდი-

*) ამ დღეს ყოველ წელს იგონებს პროლეტარიატი ჩვენს პრესაში არაფერი ყოფილა ამ დღის შესახებ. ამ სტატიით ცოტა დაგვიანებული ვართ, მაგრამ, ვიმედობთ, ჩვენი მკითხველისათვის ეს მეტი არც ეხლა იქნება.

დეგ ნაშობ შთამომავლობის თვალი და გონება, რომლის წინაშეც მხოლოდ გადაიშლება ვრცლად, მთელის თავისის სიდიდიათ, თვალ-უწვდენელი ასპარეზი ორ სოციალურ გიგანტთა ბრძოლისა—კომუნიზმისა და ანარხიისა.

ჩვენ წარსულის დიდი რევოლიუციები გვიძევს წინ, მიტომ შეგვიძლია მკრთალად მოვავლოთ თვალი რუსეთის დიდ რევოლიუციას, რომელიც ეხლა დაიწყო და ვინ იცის რითი დასრულდება, როდის დასრულდება და მივა თავის ლოღიკურ დასკვნამდის!

მაგრამ დავუკვირდებით რა თანამედროვე სოციალურ შენობასაც, მის არქიტექტურას, აგრეთვე მკრთალად ვიქონიებთ წარმოდვენას ამ შენობის მომავალზედ, რომელსაც უკვე მოედვა რევოლიუციის ცეცხლი.

წარსულში ათასნაირ მიზეზთა გამო მრავალ დიდთა და უმცირეს ძალათ უმუშავნიათ ადამიანის მონობის შექმნისათვის, ამ ძალათა მუშაობა ათასნაირ დაწესებულებებში გამოსახულა, და ეს დაწესებულებანი საუკუნეთა განმავლობაში ღრღნიდნენ ადამიანის გულს, აჩლუნგებდნენ იმის გონებას, მიწასთან ასწორებდნენ მას ზნეობრივად, გადაშენების გზაზედ აყენებდენ ფიზიკურად, შიმშილით სულს აძრობდნენ, ატყავებდნენ ნივთიერად,—უსიტყვო მონად, კურტნიან სახედრად ხდიდნენ! კერძო საკუთრება, ომები, სახელმწიფო დესპოტიზმი, სარწმუნოებრივი სიბრმავე და უმეცრება და სხვ. მაჯლაჯუნასავით აწვენენ ხოლმე გულზედ კაცთა საზოგადოებათ და მათის ძველის თავისუფლების მოსპობით უხშობდნენ მათ ყოველსავე შემოქმედებით ნიჭს, მოსპობით ემუქრებოდნენ მრავალ-რიცხვოვან სოციალურ არსთ, რომელნიც გამომწყვდეულნი იყვნენ ამ საშინელ მონობის საპყრობილეში. მაგრამ თვით ჩაგრულთა და გაძარცვულთა განუზომელ სიღრმეში იბადებოდა ახალი ძალა, ძალა ხალხური და შემომქმედი, რომელიც არა თუ ეკონომიურ ან სხვა რაიმე აუცილებლობისა, არამედ უფრო ულრმეს აუცილებლობის,—თვით ადამიანის სახის შენახვის აუცილებლობის კანონის ძალით იზრდებოდა, მწიფდებოდა, ახალ აზრთა და იდეათ წარმოადგენდა, რომელიც განიბნეოდა ხალხში, ბოლოს საშინელის რისხვით მოევლინებოდა ხოლმე ძველს ძალებს და გრგვინვით შესძახებდა: მე ვარ ძალა დამთურგვნველი, მომტანი ხაოსისა და ანარქიისაა **ძველ „წყობილებაში“**, ძალა შემქმნელი ახალ ზნეობრივ ღირებულებათა, ახალის საზოგადოებისა, რომელიც უფრო შეესაბამება თანამედროვე ადამიანს, რომლის თავშიაც უკვე მოხდა **ზნეობრივი რევოლიუციათ.** ეს იყო ხოლმე რევოლიუციონური ძალა „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ და მართლაც „საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. ამიტომ ხოცავდნენ მემამულეებს საშუალო საუკუნოებში და სწვავდნენ მათ მამულებს, სჩეხავდნენ მათ ტყეებსა და იყენებდნენ თვით გლეხები თავიანთ სასარგებლოდ, ამიტომ იწოდა ხოლმე მონასტრები, და ბერები და მონაზვნები ფრიალ-ფრიალით დაეშვებოდნენ ხოლმე შავი ყორნებივით მათ წმინდა სენაკთა კარებიდან თვალწარმტაც მინდვრებზედ, ამიტომ გარბოდნენ წმინდა ეპისკოპოსები და ბრწყინვალე გრაფ-თავადები განთავისუფლებულ ქალაქებიდან, ამიტომ ფრიალობდა დროშა ქალაქთა ციხეებზედ, ილგვოდა დიდი გზებიდან და ქალაქთა გალავანის შესავალთან საბაჟოები და სხვა საავაზაკო დაწესებულებანი, ამიტომ იმართებოდა ომები მეფეებთან, იმპერატორებთან, პაპებთან, თავადებთან, ამიტომ ჰყიოდენ მუშები სისხლით შეღებილ ქუჩებში: vivre en trapvaillant ou mourir en combattant! ამიტომ ეკიდებოდა ცეცხლი ძველ მონობის ციხეებს, ბასტილიებს, ძველ მეფის სასახლეებს... ამიტომ გარბოდა ლუი მეთექვსმეტე, ფერდინანდ ავსტრიელი და ასე დაუსრულებლივ.

---

ოდა: როგორ თუ „ბოსიაკები“ მიბედვენ იმის სწავლებას, თუ როგორ უნდა ბრძოლა მამულის სახსნელადაო. საშინელი **წამი იყო ეს** წამი: ორი მტერი ერთმანეთს დაჰპირდაპირებოდნენ, მზად იყვნენ ერთმანეთს შეტაკებოდნენ, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ იწყებოდა. რევოლიუციის გრიგალით დამსხვრეული მონარქიული პარტია კი ამ დროთი სარგებლობდა და თავის ძალებს თავს უყრიდა—მისი მიზანი ორლეანთა დინასტიის განახლება იყო. რაც კი რამ გარყვნილება, უსინდისობა და სიბინძურე იყო იმპერიალურ ბურჟუაზიის მორევში, სულ ადუღდა და გადმოსდინდა. საფრანგეთი, იმპერიისაგან ჯვარცმული საფრანგეთი, ეხლა ფინანსისტთა, მყვლეფელ-მგლეჯელთა ბუნაგად გახდა. ეგრედ წოდებულ მაღალ საზოგადოების გარყვნილებამ, ისე როგორც მთავრობისამ, უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. რაც კი კეთილ-შობილი, ამაღლებული და წმინდა იყო, იხრჩობოდა და იხუთებოდა ამ რეაქციით, პოლიტიკურ გარყვნილებით მოწამლულ სოციალურ ატმოსფერაში. ცოცხალი ელემენტები ფრანგ საზოგადოებისა გრძნობდნენ, რომ ასე ცხოვრება დიდხანს არ შეიძლებოდა. ჰგრძნობდა და ხედავდა ყველა ამას პარიზის პროლეტარიატიც. დროებითი ზავის დროს (თებერვალი 1871 წ.) მოხდა არჩევნები. პარიზმა სულ რევოლიუციონერები და რესპუბლიკანელები აირჩია. იმ პროვინციებმაც, რომელნიც მტრისაგან იყვნენ დაჭერილნი, რევოლიუციონერები აირჩიეს. იქ კი, სადაც ომის სიკვდილის ცელს პირი არ მოეკრა, რეაქციონერები იქნენ არჩეულნი. 750 არჩეულ დეპუტატთა შორის მხოლოდ 350 რესპუბლიკანელი ერია, დანარჩენი სულ სხვა და სხვა ჯურის მონარქისტთ ეკუთვნოდა. მონარქიის აღდგინებამდე ერთი ნაბიჯილა იყო დარჩენილი. მთელ რეაქციონურ ნაწილს საფრანგეთისას სიხარულით გული უტოკავდა და თან ცოტა არ იყოს, გათამამებულიც იყვნენ. პატარა, სისხლის მწყურვალე ბებერმა—ტიერმა—იმის თქმაც გაჰბედა, რომ 4 სექტემბერს გამოცხადებული რესპუბლიკა ჯერ კიდევ გადაჭრით მიღებული არ არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ფორმადაო. ისე დიდი იყო სიძულვილი ახლად შეყრილ ნაციონალურ კრებისა (assemblee nationale) პარიზისადმი, რომ მან იქ სხდომა არ ისურვა და ბორდოში გახსნა თავის კრებები. მისი პირველი აქტი ის იყო, რომ სტვენით, დაცინვითა და შეურაცხმყოფის სიტყვებით მიეგება გარიბალდის, რომელიც ხალხმა ნაცვლად იმ სამსახურისა, რაც მან განსაცდელში მყოფ საფრანგეთს გაუწია, ნაციონალურ კრების წევრად აირჩია.

პროლეტარიატს არ შეეძლო არ დაენახა, რომ ის მთავრობა, რომელსაც „ნაციის დამცველ მთავრობას“ უწოდებდნენ, ყოვლის უმალ იმას სცდილობდა, რომ პარიზის პროლეტარიატისთვის გაეთხარა მიწა და ჩუმად, მაგრამ ჯიუტის თანდათანობით აღმოეფხრათ მის სულიდან ყველა მისი რესპუბლიკანური და სოციალისტური მისწრაფებანი. „ნაციის დამცველ მთავრობას« (gouvernement de dèfense nationale) განსაკუთრებით პარიზი ჰქონდა ათვალწუნებული და ყოველის გზით ავიწროებდა მას. ხალხი ისედაც შევიწროებული იყო, მრეწველობა ისედაც დაცემული იყო, აღებ-მიცემობა თითქმის აღარ არსებობდა, ქარხნები, სახელოსნოები დახურული იყო, პარიზში სანოვაგე თითქმის აღარ შემოდიოდა. ამგვარ უბედურ მდგომარეობაში მყოფ ხალხს თავის ერთად ერთ სანუგეშოთ, იმედათ, თავის იარაღი მიაჩნდა და მთავრობა სწორედ ამისთვის სცდი-

და იყო ხოლმე დრო, როდესაც ამ ხაოსიდან და განადგურებიდან გამოვიდოდა ახალი საზოგადოება, შემომქმედი ახლისა, გაცილებით უფრო ღირსეული და ბედნიერი, ვიდრე ძველი მონობა, და იყო ხოლმე აგრეთვე დრო, როდესაც ძველი ახალსა სძლევდა და წაალრჩობდა ხოლმე ანარქიის შთანაჩენს, როგორც, მაგალითად, დიდი მოძრაობა გერმანიისა და შვეიცარიის გლეხთა მეთექვსმეტე საუკუნეში, რევოლიუცია 48 წლისა და სხვა უფრო წვრილი მოძრაობანი ევროპის ისტორიის ჟამთა ვითარებაში.

იყო ხოლმე დრო, როდესაც აგრეთვე ძველის მოსპობით არც ახალი შექმნილა, არამედ ახალი ფორმის მონობა, როგორც, მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, მაგრამ მუდმივი მოქმედება ხალხთა სიღრმეში ადამიანის შემოქმედებითი ენერგიისა ახალ ზნეობრივ ღირებულებათა და ახალ საზოგადოების,—თავისუფალი კომმუნისტურ საზოგადოების შექმნისათვის,—თავის დღეში არ შეწყვეტილა, იგი აშკარავდებოდა ხშირად და ამითი იცავდა ევროპას გადაშენებისაგან, იგი მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოიხატა ინგლისის დიდ რევოლიუციითი, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში საფრანგეთის დიდის რევოლიუციით, მეოცე საუკუნის დასაწყისში—რუსეთის დიდის რევოლიუციით—უკანასკნელ 300 წლის განმავლობაში სამჯერ,—თითოჯერ ძლიერად ყოველ 100 წელიწადში.

ჩვენ ეხლა რევოლიუციის ხანაში ვცხოვრობთ, ერთ უდიდეს რევოლიუციის ხანაში, და შეიძლება უფრო ძლიერიც იყოს ეს რევოლიუცია, ვიდრე წარსულნი, შინაარსი მისი კი იგივეა, უფრო თვალ-საჩინოც შეიძლება, ვიდრე წარსულთა.

Голосъ Кавказа,—„ნამდვილ რუსთა“ გაზეთი, მართალი იყო, როდესაც წამოისროლა ულაზათო რისხვით: сколько времени собиралась Русь-ო; მართლაც რამდენი ხნის განმავლობაში იზრდებოდა რუსეთი—თავისუფალ ქალაქთა დანგრევითა და დაქცევით, გლეხთა დამონებით, მრავალ ერთა დაჩაგვრითა და კულტურის მაგივრად მათში ყაზარმათა აშენებითა და ბერ-მონაზონთა ანაფორების აფრიალებით, რომელიც მაღლა აღმართული დროშა იყო მონობისა. რამდენ დიდსა და ურიცხვს ძალებს უმუშავია აგრეთვე რუსეთის კოლოსსის შექნისათვის, რამდენჯერ თავისუფლების სული შეუხუთავს თვითმპყრობელობის სრბოლას, მის განვითარებასა და განმტკიცებას! როგორი სისასტიკით იცავდა რუსეთის **სახელმწიფო** რუსეთის მონობას თავის დაწესებულებათა წყალობით, რომლებიც აშენებულნი იყვნენ გერმანულ და თათრულ [illegible] რუსეთის სახელმწიფო იყო **სახელმწიფო** par excellence. მართალი იყო ბაკუნინი, როდესაც ეუბნებოდა სახელმწიფოს თაყვანის მცემელთ: სახელმწიფო გინდათ?—მაშ საუკეთესო **სახელმწიფო** ნიკოლოოზ I სახელმწიფოა, ეს არის იდეალური სახელმწიფო!

და იმ დიდ ენერგიის თანახმად, რომელიც დასჭირდა რუსეთის სოციალურ შენობის დამთავრებას საუკუნეთა განმავლობაში, თანახმად იმ დიდის ენერგიისა აგრეთვე, რომელიც აქვს დღეს რუსეთის სახელმწიფოს ამ შენობის დასაცავად,—აღიმართა დიდი ენერგია მის დასათრგუნავად, იმ დაწესებულებათა დასანგრევად, რომლებიც წარმოადგენენ დღეს მთელის ჩვენი უკუღმართ ცხოვრების დაკანონებას და ძალით განმტკიცებას; დიდხანს იშრომეს სახელმწიფომა და მემამულეებმა გლეხთა ყმობის განსამტკიცებლად—დიდია სამაგიეროდ გლეხთა რიცხვიც და ენერგიაც ამ ყმობის დასამხობად. დიდია შრომა სახელმწიფო ბიუროკრატიისა ადამიანის მანქანადა და პირუტყვად გადაქცევისათვის—დიდია სამაგიეროდ ენერგია რევოლიუციონერთა ხალხში შეგნებისა და აჯანყების სულის ჩასადგმელად, ძლი-

---

ლობდა მისთვის ეს უკანასკნელი იმედიც წაერთმია და ამგვარად ის თავის ყურ-მოჭრილ მონად გაეხადა. ამას ხალხმა ველარ გაუძლო და იმის გულში შეგუბებულმა ბოღმამ გადმოხეთქა. ხალხს, ე. ი. მის ნაციონალურ გვარდიას 170 ზარბაზანი ჰქონდა, რომელიც ხელის მოწერით შეგროვილ ფულით იყო შეძენილი. მთავრობამ გადასწყვიტა ეს ზარბაზნები ძალით წაერთმია ნაციონალურ გვარდიისათვის და ამის ასასრულებლად გაგზავნა კიდეც გენერალი ლეკონტი თავის ჯარით. ღამით, ჩუმად ავიდნენ იმ ადგილზე, სადაც ზარბაზნები იყო და კიდეც წამოიღეს, მაგრამ ხალხმა შეიტყო ნაციონალურ გვარდიას იარაღს ართმევენო და განგაში დაჰკრა. ნაციონალური გვარდია და უბრალო ხალხიც დაედევნა უკან ლეკონტს, რომლის მხედრობამ უარი სთქვა ესროლა ხალხისთვის და ძალით ჩაეჩუმებია, ბოლოს იარაღიც აიყარა და გადასცა ხალხს. ორი საათის შემდეგ გენერალი ლეკონტი და კლემან ტომა დახვრეტილ იქმნენ მოთმინება დაკარგულ, ნაღალატევ და ნაწვალებ ხალხისაგან (18 მარტი ახალი სტილი 5 მარტი ჩვენებურად).

აქედან იწყება დიდებული ტრაგედია მე-XIX საუკუნისა. ნაციონალური კრება ბორდოდან ვერსალში გადასახლდა, ზემო აღნიშნულ შემთხვევის შემდეგ მთავრობამაც იქ გაიკეთა ბუდე და ნაციონალურ კრებასთან ერთად შეუდგა ჯარის მზადებას იმ აჯანყების სისხლში ჩასარჩობლად, რომელიც თვით თავის ყოფა-ქცევით აუცილებელჰყო. ყველა ჰხედავდა, რომ მთავრობა ზიზღით ხელმძღვანელობდა, ყველა ხედავდა, რომ მთავრობა ვერაგულად, იუდისებურ საშინელ დრამას, საშინელ სისხლის ღვრას ამზადებდა. ერთ ნაწილს ბურჟუაზიისას, ცოტა არ იყოს, შიში შეეპარა და თუმცა ისიც მთავრობის მომხრე იყო, მაგრამ მაინც შეეცადა შუამავლობა გაეწია მთავრობასა და ცენტრალურ კომიტეტს შორის (comité centrale *). პარიზის მონასტრის ბერებიც ჩაერიენ საქმეში და სცდილობდნენ დაეჯერებინათ მთავრობა, რათა ის დათანხმებულიყო პარიზის სამოქალაქო საბჭოს არჩევნების მოხდენაზე. ზიზღით და სისხლის სურვილით გააფთრებულმა მთავრობამ ყური მოიყრუა, არავის არაფერი გაუგონა, არც არავის თხოვნა დააკმაყოფილა. არჩევნები მაინც იქნა დანიშნული. ბებერი აფთარი—ტიერი—ბრაზით კბილებს აკრაჭუნებდა—ძალა არ ჰქონდა, რომ არჩევნები ჩაეშალა. არჩევნები მოხდა და კომმუნა მოწესრიგდა, მან მთავრობითი დაწესებულების ხასიათი მიიღო. ვისაც უნდა მართლა მიხვდეს მიზეზს კომუნის სისუსტისას, ის ჩაუკვირდეს ახლად ამორჩეულ კომუნის შედგენილობას. კომუნა ისეთ სხვა და სხვა, მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან შესდგა, მას ისეთი მისწრაფებათა და სულის კვეთებათა სიჭრელე დაატყდა თავიდან, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა აზრის და მოქმედების გაერთიანება. ზოგი მისი წევრი (უმეტესი ნაწილი) აღზრდილი იყო ძველ იაკობინურ პრინციპებზე, რევოლიუციის მხოლოდ იაკობინური წარმოდგენა შეეძლოთ და ამისათვის სცდილობდნენ კომუნა 1793 წ. მგზავს კონვენტად გადაექციათ. მათი სიყვარული პროლეტარიატისადმი იყო შედეგი უფრო მათის ფართო დემოკრატიულ ჰუმინიტარიზმისა, ვინემ შედეგი პროლეტარიატის, როგორც კლასის, მისწრაფებათა და სულის კვეთებათა შეგნებისა. ამ ტრადიციონალურ იაკობინიზმს წინ

*) ცენტრალური კომიტეტი შესდგებოდა ნაციონალურ გვარდიის 115 ბატალიონის დელეგატთაგან.

ერია ხალხის ბოიკოტი ბიუროკრატიულ დაწესებულებათა წინააღმდეგ. დიდია სიბნელე და გაიძვერობა სამღვდელოებისა—დიდია შეგნება ხალხისა და ძლიერია ბოიკოტი ამ სამღვდელოებისადმი. სასტიკია ჯარი—მებრძოლია **და გმირია** რევოლიუციონერთა არმიაც. ხარბია მემამულე—100,000,000 გლეხობა გაიძახის—გადავხნათ ბატონების მიწებიო! გულ-ქვა, ხარბი და გაიძვერაა კაპიტალისტი—ძლიერია სოლიდარობა მუშათა, მათი ორგანიზაციები, ძლიერია რევოლიუციონური საერთო გაფიცვა.

ამ ორ კატეგორიის ძალთა შორის ბრძოლით დაიწყო რუსეთის დიდი რევოლიუცია. ძირს ბიუროკრატია,—ბოიკოტი სასამართლოს, სალდათობას, გადასახადები პირდაპირი და არა პირდაპირი მოისპოსო, ძირს მყვლეფელი სამღვდელოება, ძირს არა მწარმოებელი ელემენტები—მემამულეები და კაპიტალისტები,—გაუმარჯოს საერთო შრომასა და მწარმოებელთა შორის სოლიდარობასო,—ასე იძახდა ხალხი! ეს იყო დიდი ამირანისებური ხმა ტანჯულ მშრომელთა, **და თავისუფლების დროშით ხელში შეუდგა იგი ძველ დაწესებულებათა ნგრევას:** გადაიწვა კანცელარიები, **სალდათად** არავინ მიდიოდა, აბლაკატები დაიმშენ, პოლიციელები მიიმალნენ, მღვდლები შიმშილით შეწუხებულნი დაძრწოდენ მოჩვენებასავით, გლეხები ტყესა და მინდვრებს ართმევდნენ მემამულეთ და მათ საერთოდ სახმარებლად მზად იყვნენ, მუშებს გაკოტრებულ სახელმწიფოში ჩამოვარდნილი კრიზისის დროს უსათუოდ უნდა დაჰბადებოდათ აგრეთვე ექსპროპიაციისა და წარმოების მოწყობის აზრი ამხანაგობის წესზედ, როგორც ესა ხდება ხოლმე აუცილებლივ დიდ ხალხურ მოძრაობათა დროს; ასტყდა საშინელი ბრძოლა, ბრძოლა კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ, აღარა სცემდნენ პატივს ძველ ზნეობრივ ღირებულებათა, ქვეყანას საფუძველი ეცლებოდა, ხაოსი და ანარქია ბოროტ სულივით დასტრიალებდა ძველი საზოგადოების მძორს.—ეს იყო რევოლიუცია მთელის თავისის სისასტიკით.

დიახ, ჩვენი დიდი რევოლიუცია იყო დიადი შეტაკება ხალხურ კომმუნისტურ და ანარხიულ სულისა სახელმწიფოსა და კერძო საკუთრების დაწესებულებათა წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის ბრძოლა არის ბრძოლა დანგრეულ დაწესებულებათა აღდგინებისათვის,—მას ეწოდება რეაქცია.

Bâton

---

## ფსალმუნი დავითისი

—

აღვაღო იგავითა პირი ჩემი და ვიტყოდე მე იგავთა დასაბამისათა, რავდენი გვესმა და ვსცანით და მამათა ჩვენთა გვითხრეს ჩვენ. (ფს. 77 3—4).

მივყო იგავსა ყური ჩემი და აღვაღო საგალობლითა იგავი ჩემი. (ფს. 48 4).

კაცმან სულელმან არა სცნოს და უგუნურმან არა გულის ხმა ჰყოს ესე. (ფს. 91—6).

პირმან მართლისამან იწვართოს სიბრძნე და ენა მისი იტყოდეს მსჯავრსა. (ფს. 39-30)

მრავალ გზის მბრძოდეს მე სიყრმით ჩემითგან, სთქვა ისრაილმა, მრავალ გზის მბრძოდეს მე და ვერა მერეოდეს

(ფს. 128—1).

გარე მოგვადგეს ჩვენ სალმობანი სიკვდილისანი და ღვართა უსჯულოებისათა შეგვაძრწუნეს ჩვენ (ფს. 17—3).

გული ჩვენი შეძრწუნდა ჩვენთანა და შიში სიკვდილისა დაგვეცა ჩვენ (ფს.54-4).

გარე მოგვადგეს ჩვენ სალმობანი სიკვდილისანი და ჭირთა ჯოჯოხეთისათა გვპოვეს ჩვენ (ფს. 114—3).

მრავალ არიან მდევარნი ჩვენნი და მაჭირვებელნი ჩვენნი და წამებათა მათთაგან არა გარდავიქციეთ (ფს. 118—157).

მდინარეთა ზედა ბაბილონისათა დავსხედით და ვსტიროდით, რაჟამს მოვიხსენეთ ჩვენ სიონი. (ფს. 136—1).

რამეთუ სდევნა მტერმან სული ჩვენი

---

ელობებოდა სოციალიზმი და სოციალისტური მოქმედების სურვილი პროლეტარიატის წარმომადგენელთა. თუმცა სოციალისტები კომუნაში უმცირესობას შეადგენდნენ, მაგრამ, ეჭვი არ არის, ისინი იყვნენ გამომხატველნი პარიზის პროლეტარიატის უდიდეს და უშეგნებულეს ნაწილისა. ისინი გრძნობდნენ, რომ მათ ბედმა არგუნათ სოციალურ ტრანსფორმაციის ინიციატივა, რომ მთელი მაშვრალი ხალხი მათ შეჰყურებს და ცდილობდნენ კიდეც ეს იმედები არ გაემტყუნებინათ. რადგან ხალხი ეკონომიურ მონობას ყველა მონობის ქვა-კუთხედათ სახავს, რადგან ის ყოველ მოძრაობის დროს უცვლელად თანასწორობის მოთხოვნილებას აყენებს წინ, მათაც სურდათ ძირეულ ეკონომიურ რეფორმებით დაეწყოთ საქმე, რათა ხალხისთვის ეგრძნობინებინათ, რომ მას არ ღალატობდნენ, რომ სწორედ მისი ხალხური რევოლიუცია დაიწყო, რომ დაეინტერესებინათ ხალხი რევოლიუციაში, რომ ის მისთვის შეეყვარებინათ; კომუნარებს ახსოვდათ მოხუც ბლანკის სიტყვები: „ის რევოლიუცია, რომელიც თავისის ეკონომიურ მოქმედებით 48 საათის განმავლობაში ვერ მოიხვეჭს ხალხის სიყვარულს—დაკარგულია". ამგვარ მოქმედებას, მათის აზრით, ის უპირატესობა ჰქონდა კიდევ, რომ პარიზის კომუნას განკერძოებიდან გამოიყვანდა, რათა მას მისცემოდა მთელი პროლეტარიატის მუდმივ და უცვლელ მისწრაფებათა გამოხატულების სახე და ამგვარად მთელ საფრანგეთის პროლეტარიატს აღაფრთოვანებდა, გამოიყვანდა მოქმედების და შემოქმედების ასპარეზზე. მაგრამ, საუბედუროთ, ყველა ამ დიდებულ განძრახულებათა სისრულეში მოყვანას ხელი შეუშალა კომუნის წევრთა სხვადასხვაობამ, სიჭრელემ და კიდევ იაკობინურმა მისწრაფებამ სახელმწიფოებრივ რევოლიუციისადმი. მართლაც მოძრაობა დღითი-დღე უფრო გარკვეულად იღებდა სოციალისტურ, ხალხურ ხასიათს, სათავეში კი მას იაკობინელები ედგნენ. იაკობინიზმის შეტანას რევოლიუციაში კი ის შედეგი აქვს, რომ ირჩევა ახალი მთავრობა, რომლის ხელშიც გადადის ყოველი შემოქმედებითი ინიციატივა; ხალხი მაშინ გარეშე პირად ხდება, უხალხოთ კი არც რამე ძირეული ცვლილება ხდება და ვერც რევოლიუცია იშლება და იფურჩქნება. მთავრობა ინიციატივის მხრით, შემოქმედობის მხრივ, ერთობ ზანტი და მოუხერხებელია. მთავრობა ახალის შემქნელ იარაღად არც ყოფილა არაროდეს და არც შეიძლება იყოს, ის ძველის დაცვის, ძველის დაკანონების იარაღია. რა სახელიც უნდა ერქვას მას, მისი დამახასიათებელი ნიშანი—ბიუროკრატიზმია. ეს ბიუროკრატიზმი იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ გაუმაგრებელ და ჯარ ნაკლებ ვერსალზე გალაშქრება დროზე არ იქნა გადაწყვეტილი. მერმედ კი, როცა ვერსალი გამაგრდა, როცა სული მოითქვა რეაქციამ, გალაშქრებას სხვა აღარაფერი შედეგი მოჰყოლია—გარდა ფლურანსის და ბევრ იმისი ამხანაგების უნაყოფო, თუმცა გმირულ სიკვდილისა. პირველ ორ კვირის განმავლობაში, როცა ჯერ კიდევ „შემოქმედებით უწესოება სუფევდა", ე. ი. მაშინ, როცა რევოლიუციას „ქუჩა" განაგებდა, კომუნას მეტი აღმგზნებელი გავლენა ჰქონდა: ლიონში (ბაკუნინის პირდაპირის ზეგავლენით), მარსელში, სენტ-ეციენში, ბეზიერში, ტულუზს, ლიმოჟში და სხვ. კომუნები იქმნა გამოცხადებული, მაგრამ, საუბედუროთ, ეს კომუნები პარიზს ვერ შეუერთდნენ, მოძრაობა ვერ გაერთიანდა და ნელ-ნელა ჩაქრა. პარიზი მარტო დარჩა. ბებერი აფთარი—ტიერი-კი გაძლიერდა, რეაქციამ ძა-

და დაამდაბლა ქვეყანად ცხოვრება ჩვენი და დაგვსვა ჩვენ ბნელსა შინა ვითარცა მკვდარი საუკუნო (ფს. 142—3).

რამეთუ პირი ცოდვილისა და პირი მზაკვრისა ჩვენზედა აღეღო, იტყოდეს ჩვენთვის ენითა მზაკვრულითა (ფს. 108—2).

სიტყვითა საძულველისათა მოგვიცვეს ჩვენ და გვებრძოდეს (იქვე).

სიყვარულისა ჩვენისა წილ გვასმენდეს, ხოლო ჩვენ—ვლოცვიდით (იქვე).

ყვნენ შვილნი ჩვენნი ობოლ და ცოლნი ჩვენნი ქვრივ (იქვე).

და დასთხიეს სისხლი უბრალო, სისხლი ძეთა და ასულთა მათთა, რომელ იგი უზორეს კერპსა მას ქანაანისასა, დაკლვით მოისრა ქვეყანა სისხლითა (ფს. 105—37).

და ყოველთაგან სოფლებთა შეჰკრიბნა იგინი, აღმოსავალით და დასავალით, ჩრდილოეთით და ზღვით.

შესცთეს იგინი უდაბნოსა ურწყულსა, გზა ქალაქისა სამკვიდრებელთა არა ჰპოვეს.

შიოდათ და სწყუროდათ და სული მათი მათგან მოაკლდა.

ცანი ცათანი უფლისა არიან, ხოლო ქვეყანა მოჰსცა ძეთა კაცთასა (ფს.113-24).

და მისცეს იგინი ხელთა მტერთასა და მეუფლნეს მათ მოძულენი მათნი. და ცეცხლი აღატყდა კრებულსა შორის მათსა და ალმან შეწვნეს ცოდვილნი. (ფს-105—18).

რამეთუ აღივსო ძვირთაგან სული ჩვენი და ცხოვრება ჩვენი ჯოჯოხეთსა მიახლა. (ფს. 87—3).

და სთქვეს: მოვედით და მოვსრნეთ იგინი თესლთაგან და არღარა მოიხსენოს სახელი ისრაილისა მერმე (ფს. 82—4).

დღეს მას გლოვისასა, ადგილსა მას, რომელსაცა აღუთქვა, ვიდოდიან იგინი ძალითი ძალად (ფს. 83 6—7).

რამეთუ სირმანცა ჰპოვა თავისა თვისისა სახლი და გვრიტმან ბუდე თვისი, სადა დაიხსნეს მართვენი თვისნი(ფს.83-3).

ნეტარ არიან, რომელნი დამკვიდრებულ არიან სახლსა თვისსა (იქვე).

და ვიქმენით ჩვენ საყვედრელ მოძმეთა ჩვენთა, საცინელ და საკიცხელ გარემოსთა ჩვენთა. (ფს. 78—4).

დასწვეს ცეცხლითა სიწმიდე ჩვენი ქვეყანასა ზედა, შეაგინეს კარავი სახელისა ჩვენისა. (ფს. 73—7).

დაითვრნენ იგინი სიპოხითა სახლისა ჩვენისათა და ღვარი საშვებელისა ჩვენისა სვეს მათ. (ფს. 35—9).

რომელთა ხელნი უსჯულოებასა შინა არიან, მარჯვენე მათი აღივსო ქრთამითა. (ფს. 25—10).

განიყვნეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. (ფს. 21—18).

დღე დღესა აუწყებს სიტყვასა და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა. (ფს. 18—2).

ნეტარ არიან, რომელთა მიუტევნეს უსჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი (ფს. 31—1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრიტიკა მონიზმის.

### I

ეკონომიკო-მონისტური კონცეპცია ისტორიისა არის გიპოტეზა, რომელიც გამომდინარეობს უფრო ზოგად გიპოტეზიდან, სახელდობ, ზოგად-ფილოსოფიურ მატერიალისტურ მონიზმისაგან. ამიტომ საჭიროა გავარჩიოთ ჯერ ზოგადი, ნატურ-ფილოსოფიური და მატერიალისტური მონიზმი საზოგადოდ.

ფილოსოფიურ აზროვნების თანამედროვე განვითარებაში ჩვენ, სხვათა შორის, ვხედავთ ორ სკოლას, რომელიც დაკავშირებულია ბაკონთან და დეკარტთან—ერთი იწყება ბაკონით და ჰობსით, მაგრამ შემდეგ ლოკკის და კანდილაკის საშუალებით გადაიქცევა მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის მატერიალიზმათ —მეორე იწყება დეკარტით, მაგრამ სპინოზას, ლეიბნიცის, კანტის, ფიხტეს, შელლინგის და ჰეგელის საშუალებით გადაიქცევა იმ თანამედროვე ფილოსოფიურ მოძღვრებად, რომელსაც დღეს მონიზმს უწოდებენ. მონიზმი დღეს უმთავრესად გერმანულია.

გერმანიაში სპინოზიზმი მით უფრო და უფრო ჩრდილავდა თავისი შტოე-

---

ლა შემოიკრიბა და თავი წამოსწია. ამ დღიდან შემოქმედებითი მუშაობა კომუნისა ყოვლად შეუძლებელი გახდა: მას მთელი ძალ-ღონე ვერსალის რეაქციისაგან პარიზის დაცვაზე უნდა მოეხმარებია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრი გადაწყვეტილება კომუნისა გადაწყვეტილებად დარჩა, სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი მიუხედავად დიდებულ ქალაქის გმირობისა. გასაკვირველიც არ არის. კომუნას ორი სულთა—მხუთავი ადგა კარებზე: ვერსალის გაათრებული რეაქცია, აფთრისვე წინამძღოლობით და პრუსიის ძლევამოსილი ჯარი. ამისთვის ჩვენ არ ჩამოვთვლით დაწვრილებით კომუნის დადგენილებებს, მოვიყვანთ მხოლოდ იმათ, რომელთაც ისტორიულ-პრინციპიალური ხასიათი აქვსთ. 19 აპრილს (1871 წ.) კომუნამ გამოუშვა პროკლამაცია, სადაც მისი ფედერალიზმი მშვენივრად და მკაფიოდ არის გამოხატული:

„საფრანგეთის ხალხს.

რას თხოულობს პარიზი?

დაუყოვნებლად აღიარებას კომუნის სრულის ავტონომიისას მთელს მხარეში, ყველასათვის სრულის უფლებით; პარიზის კომუნა თხოულობს, როგორც თავისთვის, ისე მთელი მხარის სხვა კომუნებისთვის უფლებას თავისუფლად ფედერატიულად მოწყობისას და თავისუფალ კავშირისას, რომელიც უზრუნველჰყოფს საფრანგეთის ერთობას.

რაც შეეხება ცენტრალურ ადმინისტრატიულ ორგანოს მთელი საფრანგეთისათვის, კომუნას სურს მასში დაინახოს ფედერატიულ კომუნების თავისუფალი დელეგაცია, საქმეშიაც იმ პრინციპებით ხელმძღვანელი, რომელსაც იგი აღიარებს.

ერთობა, რომლის თვისაც იმპერია, მონარქია და პარლამენტარიზმი ზრუნავდა, სხვა არაფერია, გარდა სამძიმო, თავნებურ, დესპოტიურ და უგუნურ ცენტრალიზაციისა“.

ასეთი იყო სოციალური პრინციპები იმ კომუნისა, რომელსაც ტრაბახის სიყვარულით დაბრმავებულმა ენგელსმა დიქტატურა უწოდა.

სხვა დადგენილებათა შორის საყურადღებოა: სახლების საქირაო ფულის დროებით პატიება, ხელშეკრულებათა ვადის გაგრძელება, დაწინდებულ ნივთების *) უფასოთ დაბრუნება, ფოსტის საქმის რეორგანიზაცია, ნაციონალურ გვარდიისათვის ჯამაგირის დანიშვნა, დეკრეტი სავაჭრო თამასუქების შესახებ და აგრეთვე გაუქმება გადასახადისა გაზეთებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებზე.

საყურადღებოა აგრეთვე ტიერის, პიკარის, ფავრის და დიუფორის პასუხისგებაში მიცემის და მათის ქონების კონფისკაციის გადაწყვეტა, ვანდომის კოლონის დანგრევა და სხვა.

კომუნამ აკრძალა ღამე მუშაობა. ამით უნდოდა, ცოტა არ იყოს, მეპურეთა სვე-ბედი შეემსუბუქებინა. მან დანიშნა განსაზღვრული ფასი პურზე, რომ მისი შოვნა ცოტად მაინც გაეადვილებინა დამშეულ ხალხისათვის. მაგრამ ყველაზე უფრო მეტი პრინციპიალური მნიშვნელობა უსათუოდ კომუნის იმ დეკრეტს აქვს, რომელიც შეეხება გაქცეულ კაპიტალისტთა და მექარხნეთა ქონების კონფისკაციას. აი ეს დეკრეტი:

კომუნა,

„იღებს რა მხედველობაში, რომ სახელოსნო და ქარხანა-ფაბრიკების ვერაგულმა მიტოვებამ შეაჩერა მუშაობა, კომუნალურ ცხოვრებისთვის აუცილებლად საჭირო, და მუშათა არსებობამაც იზარალა,

ადგენს:

მოწოდებულ იქმნან მუშათა სინდიკალური კამერები გამომძიებელ კომისიების დასანიშნავად, რომელსაც საგნად ექნება:

*) იმ ნივთებისა, რომელთა ღირებულება 20 ფრანკს არ აღემატებოდა.

ბით ფილოსოფიის არემარეს, რამოდენადაც კარტეზიანიზმი იდგამდა ფესოებს. სხოლასტიკასთან ბრძოლაში სპინოზისტები უკიდურეს მემარცხენეებს შეადგენდნენ. ისინი იმოდენად უახლოვდებიან მატერიალიზმს, რამოდენათაც ამას შესაძლებლად ხდიდა სპინოზიზმის პანტეისტიკო—მონისტური ან მონისტიკო-მისტიური ელემენტები. დიდი იყო სპინოზას გავლენა გერმანიის გონებრივ მოძრაობაზე მეთვრამეტე საუკუნეში.

მის მეთაურ აზრებში ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდნენ, პირველად, წესრიგიანობას (регулярность) ყველაფრისას რაც შეიძლება რომ მოხვდეს.—მეორედ და უმთავრესად ერთ და იმავეობას (тождество) ღვთიერების (gyx) და ბუნებისას. სპინოზას deus sine natura-ში ღმერთი ნივთიერების უკან კი არ არის ამოამალული, არამედ ის ცხოვრობს როგორც შინაგანი მხარე დიდს ერთისა (Tout), რომელიც გრძნობათა საშუალებით ჩვენ ბუნებათ გვესახება. სპინოზა დიდი მებრძოლია დეტერმინიზმის და აგრეთვე დამცველი ბუნების ყველა მოვლენათა ერთობისა; ამისთვის ის ხშირად მატერიალისტათ იყო მიჩნეული, მაგრამ წინააღმდეგი ცხადიც არის და ცნობილიც. სპინოზას აზრით მსოფლიოს სურათი, რომელიც გამოიხატება მექანიკურ კონცეპციით, ე. ი. მატერიალის ტერიალიზმით, არის მხოლოდ ერთი მხარე რამეების არსებითობის (de l'essence des choses) მეორე გარმონიული მხარე კი სპირიტუალურია. ლეიბნიცმა იდეა მსოფლიოზე აღიარა წარმოდგენად (представленіе) და ერთი მხრით ეს აზრი მსოფლიოზე, როგორც წირმოდგენაზე, მიიყვანა უკიდურესობამდე თავის მონადოლოგიაში, მეორე მხრით კი ის მკაცრი მექანიზმის მომხრეა ფენომენალურ ქვეყანაში. კანტისთვის სული (духъ) და სხეული ერთია, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ისინი მიჩნეული (percue) არიან სხვა-და-სხვა ორგანოებით. ფიხტეზე, შელინგზე და ჰეგელზე უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ალექსანდრე ბენი ცდილობს არ გადაცდეს „prudent გონიერ და თავდაჭერილ მატერიალიზმს“ და რამდენიმედ სტოვებს ოპოზიციონურ მდგომარეობაში სულიერებას და ნივთიერებას. მისი აზრით სხეული ობიექტივური მხარეა და სული (âme) სუბიექტივური, ე. ი. სხეული იგივეა ობიექტიურად, რაც სული სუბიექტიურად. სპენსერს სწამს მოვლენების მატერიალიზმი, მაგრამ „თავის სუბიექტიურ გარეგნობის ქვეშ პსიხოლოგია არის მეცნიერება სრულიად ერთადერთი, დამოუკიდებელი ყველა სხვა რომელიმე მეცნიერებისაგან, რომელსაც ის ეწინააღმდეგება როგორც ანტითეზა“. მისი აზრით ფენომენალური მატერიალიზმი წააწყდება თავის საზღვარს ბუნების მეცნიერებაში (სხვანაირი მეცნიერება არ გვეგულება და არც შესაძლებელი გვონია. შ. გ.). ვოლფმა პირველად დაუპირდაპირა მონიზმი დუალიზმს. სიტყვა მონიზმი გავრცელდა ჰეგელის ფილოსოფიასთან ერთად და განსაკუთრებით კი თანამედროვე ნატურ-ფილოსოფიასთან ერთად; ნუარე, ჰეკელი და ხვები არიან ამ ფილოსოფიის წარმომადგენლები. ჰეკკელის აზრით (Le monisme; L'histoire de la création naturelle), „მთელი სწორი (точный) ბუნების მეტყველება და მას ზევით მიზეზობრივობის კანონი არიან წმინდათ მატერიალისტური, მაგრამ შეეძლოთ აგრეთვე კარგათ გამოეცხადებინათ ისინი სპირიტუალისტურად. მართლაც, ჩვენს მონიზმის ლოგიკურ ერთიანობაში იდეალიზმი და რეალიზმი, სპირიტუალიზმი და მატერიალიზმი ერთდებიან (se confondent)“. იმავე ჰეკელის აზრით მონიზმი და იუნითეიზმი ერთი და იგივეა.

საზოგადოდ და განსაკუთრებით ჰეკკელის სიტყვებიდგან სჩანს, რომ უკუღმართობის, წინააღმდეგობის ერთ და და იმავეობა არის დამახასიათებელი ნიშანი საზოგადოთ მონიზმის, რომელიც შეიცავს არა მარტო მატერია-

1. მიტოვებულ სახელოსნოების სტატისტიკის შედგენა, აგრეთვე ნამდვილი აღწერა, რა მდგომარეობაში არიან ისინი, რამდენია მათში მუშათა ხელსაწყო და როგორ არიან შენახულნი.

2. მოხსენების წარდგენა, რომელშიაც შემუშავებულ იქნება პრაქტიკული პირობები ამ სახელოსნოებით სარგებლობისა, არა იმათ შემჩერებელ გადახვეწილთაგან, არამედ მუშათა კოოპერატიულ ასოციაციებისაგან, რომელნიც წინად ამ სახელოსნოებში მუშაობდნენ.

3. შემუშავებულ იქმნას ამ მუშებისაგან კოოპერატიულ საზოგადოებების დაარსების პროექტი.

4. დაარსება სამედიატორო სასამართლოსი, რომელმაც მეპატრონეთა დაბრუნებისათანავე უნდა გადასწყვიტოს პირობანი მუშათათვის სახელოსნოების სამუდამოთ გადაცემისა და რაოდენობა სასყიდლისა, რომელიც მუშებმა სახელოსნო--ფაბრიკა--ქარხნების მეპატრონეთ უნდა მისცენ.

ამ გამომძიებელმა კომისიამ თავის მოხსენება უნდა წარუდგინოს შრომისა და გაცვლა-გამოცვლის კომუნალურ კომისიას, რომელიც ვალდებული იქნება სულ მოკლე დროს განმავლობაში წარუდგინოს კომუნას პროექტი დეკრეტისა, რომელსაც საგნად ექნება კომუნისა და მუშათა ინტერესების დაკმაყოფილება“.

პარიზი. 16 აპრილს 1871 წელს.

ასე, თუმცა ძალიან სუსტად, გაუბედავად, მაგრამ კომუნა ექსპროპრიაციის საკითხს შეეხო, დაანგრია წმიდათა-წმიდა ბურჟუაზიის სარწმუნოებისა—კერძო საკუთრება. მიუხედავად ამ ფაქტის დიდ მნიშვნელობისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ კომუნა იმით კი არ უნდა დაფასდეს, რაც მან ჰქნა, არამედ იმით, რისიც ქნა მას სურდა. ეს სურვილი ერთობ დიდებული რამ იყო, ის კიდევ უფრო დიდებული და დიადი შეიქნებოდა, რომ განვითარება ღირსებოდა კომუნას, „ამ უუდიდეს ქმნილებას მებრძოლ პროლეტარიატისას“. რაღაც ფატალური ძალა სოციალურ რევოლიუციისაკენ მიიზიდავდა მას, ეს ფატალური ძალა პროლეტარიატის სული იყო, რომელიც მას განაგებდა, მაგრამ, საუბედუროთ, ამ მისწრაფებას კომუნისას წინ გადაეღობა ერთის მხრით ძველი ბურჟუა-დემოკრატიული, იაკობინური ცრუ-მორწმუნეობა ზოგიერთ მის მოღვაწეთა, მეორეს მხრით ის საშინელი განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც დატრიალდა ეს საშინელი დრამა: ომიანობის დრო, პრუსიის ჯარი, გააფთრებული რეაქცია და ისიც ძლეულ იქნა—მაგრამ დროებით. კომუნა დამარცხდა, მაგრამ არ მომკვდარა და არც მოკვდება, ის, მიმალული ხალხის გულში, სცოცხლობს იმ მოძრაობაში, რომელიც მას შემდეგ გაიზარდა. ის უკვდავია მით, რომ მან მისცა ლოზუნგი ყოველ ნამდვილ ხალხურ, ხალხის მიერ და ხალხისათვის მოხდენილ მოძრაობას. ეს ლოზუნგი, რომელიც განაგებს ხალხურ მოძრაობას, მის გულს აღაგზნობს—კომუნაა.

გადაცემა სარევოლიუციო ინიციატივისა რაღაც სანახევროდ სახელმწიფოებრივ დაწესებულებისადმი,

ეკონომიური სისუსტე-გაუბედველობა (ხალხს შიოდა, კომუნას ფული არ ჰქონდა, საფრანგეთის ნაციონალურ ბანკში კი 400 მილ. იყო), მიბაძვა ძველ სარევოლიუციო მართველობათა ბიუროკრატიზმისა, სამხედრო მომზადების სისუსტე;

ასეთია ნაკლულევანება კომუნისა.

კომუნათა ავტონომიის აღიარება,

მათი ფედერატიული კავშირი და

ერთი ნაბიჯის, თუმცა პატარასი, გადადგმა—სოციალური რევოლიუციისაკენ, ასეთია სიდიადე პარიზის კომუნისა, რომელსაც სრული სისწორით სთვლიან სოციალურ რევოლიუციის პირველ და მინიატურულ ცდათ.

არ უნდა დავივიწყოთ—არც სიდი-

ლიზმს, არამედ მეტაფიზიკის მოზრდილ დოზასაც, აგრეთვე მონიზმი მაინც მეტაფიზიკაა იმიტომ რომ მსოფლიო შეგნებულია, როგორც ერთი მთელი ე. ი. მთელ თავის კონკრეტობაში, მთელ თავის სისრულეში. მონიზმი საზოგადოთ ისეთი შეგნება არის, რომლითაც ყველა სხეული აუცილებლად შეიქნება იდეა, გონება და ყველა იდეა, გონება აუცილებლად შეიქნება სხეულად. ამნაირი და ყოველნაირი მონიზმი საზოგადოთ შეიცავს ერთობას ერთ და იგივეობას წინააღმდეგებისას: მატერიისას და სულისას. მექანიკურ პრინციპისას და ტელეოლოგიისას. გნოსეოლოგიური მონიზმი თავის მხრით იგულვებს არსს (бытie), რომლის ორი მხარე, ნივთიერება და სული, ერთიანდებიან სუბიექტიურ შეგნებაში. სპენსერის აზრით, ეს არსი არის შეუგნებელი, არა სამცნებო (не познаваемое), კანტის სიტყვით საგანი თავის თავად, „არა ვიცი რა“—ა. ჰეგელის მსოფლიო ისტორიის კონცეპცია წარმოადგენს მონიზმს, რომელიც თავის რიგზე შეადგენს უმაღლეს ხანას სულის და ბუნების შუა დუალიზმის განვითარებისას. ამნაირად მონიზმი არის ფილოსოფიაში ისეთი მედალი, რომლის ორი მხარე ერთიმეორეს ეწინააღმდეგება; ახირებული შეერთებაა ორ შეუერთებელისა; ნამდვილად კი ორი მხარე მედალისა არა თუ უკუღმართები არ არიან, არამედ შეადგენენ აუცილებელს, განუყოფელს, განსხვავებულ და არა წინააღმდეგ ატრიბუტებს ერთ და იმავე მედალისას. მონიზმი ამნაირად ჩვენ გვეჩვენება ორ წინააღმდეგ შეუერთებელ და შეუწყებელ სათავეების შეერთებად და შეკავშირებათ. წინააღმდეგ ამისა ვფიქრობთ, რომ არსი არ იაზროვნება თავის ნაწილებს და ატრიბუტებს შორის წინააღმდეგობით, ისე როგორც რიცხვი არ იაზროვნება მის შემადგენელ ერთეულების ანტაგონიზმით. ჩვენ მატერიალიზმის პირის-პირ ვართ მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველაფერი, რაც სინდისში შედის ან შეიძლება შევიდეს, შეგნებულია მასალის, მატერიალის საშუალებით—ერთეული თავის ნაწილების ურთიერთობით და რიცხვი ერთეულების ურთიერთობით; აგრეთვე მხოლოდ ერთგვაროვანთა შედარებით მივიღებთ ურთიერთობას ნაწილებისას ერთეულის სახით და ურთიერთობას ერთეულებისას რიცხვის სახით. რადგან მონიზმი არის გაერთიანებული წარმოდგენა მსოფლიოზე მთელის თავის წესრიგით როგორც ერთეულზე, როგორც კონკრეტულზე, როგორც ერთ სრულზე (un Tout), ამიტომ ეს წარმოდგენა ამავე დროს არის დაბოლოვებული და ბოლოიანი (законченный, конечный) რიცხვით და გარემოცვით (объем) დროში და სივრცეში, მაგრამ მსოფლიოს ნივთიერება არ ექვემდებარება არც ერთ ამ ოთხ თვისებათა ბოლოიანობას. ამასთანავე, წარმოდგენა მსოფლიოზე, როგორც ერთ კონკრეტულზე, როგორც ერთ სრულზე, გაერთიანებულზე, შეიძლება მხოლოდ შედარებით სხვა ერთეულთან, რომელიც მის გარეშე უნდა იმყოფებოდეს და მის ერთგვარს ერთეულს, ბოლოიანს უნდა წარმოადგენდეს; ეს შედარება კი შეუძლებელია, რადგან პირველი შეგნება აღარ სტოვებს მსოფლიოს გარეშე არაფერს; მაშასადამე, მონიზმი, როგორც შეგნება მსოფლიოზე, რომელიც წარმოდგენილია როგორც ერთობა, როგორც ერთი მრთელი (Un Tout) არც წარმოდგენილია და არც შეგნებული - ის აბსურდია.

ყველა ურთიერთობა, როგორც ასეთი, იგულვებს წევრებს ურთიერთობისას და არის ნაყოფი ორ სიდიდეთა შედარებისა, რომლებიც ამნაირად არიან აუცილებელი პირობები და მაშასადამე მასალა, მატერიალი ურთიერთობისა. მცნება (познанie), როგორც ურთიერთობა, იგულვებს თავის არსებობის პირობებს. ამ პირობებათ და, მაშასადამე, მასალად, მატერიალად, რომლის საშუალებითაც მცნება (познанie) ხდება შესა-

---

ადე და არც ნაკლი კომუნისა—ასეთია ჩვენი მოვალეობა იმ დიდებულ გვამთადმი, რომელთა გოლგოთა ჩვენ წმიდათა-წმიდათ გაგვიხდია.

*
* *

შემდეგ სამი თვის შეუდარებელ, თავგაწირულ ომისა, კომუნა ძნეულ იქნა და მისთვის „სისხლის კვირა“ დადგა. ეს იყო 21 მაისს, 1871 წ. ტიერი, ეს ბრაზიანი აფთარი თავის გენერლებითურთ, მოესწრო ხალხის სისხლით გაჟღენთას. ცხრა დღის განმავლობაში განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტა პარიზის ხალხისა არ შეწყვეტილა. ჟლეტდნენ ბავშვებს, ქალებს, ახალგაზრდა და მოხუცებს. შებრალება და შეწყალება არვისთვის იყო. არვინ არჩევდა დამნაშავეს და უდანაშაულოს—ერთი რამ, მხოლოდ ერთი რამ გამხდარიყო მიზნად გამარჯვებულ ბურჟუაზიისთვის — სისხლი, რაც შეიძლება მეტი სისხლი დაეღვარათ. არაოდეს სისწორით არ ყოფილა გამოკვლეული თუ რამდენი მსხვერპლი შეეწირა სოციალურ რევოლიუციის პირველ ცდას. დაახლოვებით 35,000 მსხვერპლს ასახელებენ. ისტორიკოსები (ბურჟუათა და არა რევოლიუციონერთა) აღიარებენ, რომ „ეს იყო უდიდესი ხოცვა-ჟლეტა მთელის საფრანგეთის ისტორიის განმავლობაში“-ო *). 40,000 ათასი ტყვე (მათ შორის ელიზე რეკლიუც იყო) ვერსალში ჩაასხეს, ცემა-ტყეპით, ყოველის დამცირებით და შეურაცხყოფით. 7500 ახალ კალედონიაში იქმნა გაგზავნილი (მათ შორის ლუიზა მიშელი). სამხედრო სამართალი 1876 წლამდი მოქმედება.

ასე იყარა ჯავრი გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ იმათზე, ვინც მას უჩვენა საშინელი მოჩვენება სოციალური რევოლიუციისა.

*
* *

როცა ფაფთრებული ბურჟუაზიის ნების აღმასრულებლებმა პარიზის ცენტრში ყველა ამოჟლიტეს მერმედ მუშათა ნაწილებში გადავიდნენ, ამოჟლიტეს მონმარტრი, ბელვილი. ლონე მიხდილი კომუნარები, მოქანცულნი და სისხლისგან დაცლილნი, უკან-უკან იხევდნენ, მაგრამ თავისუფლების და ერთობის მოსაპოებლად აღებულ იარაღს არ უშვებდნენ გაყინულ ხელებიდან. უკანასკნელი შეტაკება მოხდა პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, სადაც ყოველი სამარის ქვა იერიშით ასაღები გახდა. კომუნარები ამ ქვებს ეფარებოდნენ და მხოლოდ სულთან ერთად აგდებდენ იარაღს ხელიდან. ირონია ბედისა! კომუნარებმა, ამ „დიდებულმა მხატვრებმა თავისუფალ და თანასწორობის მომავლისამ“, პერ-ლაშეზის საფლავზე გაისროლეს უკანასკნელი ტყვია თავისუფლება-ერთობის მოსაპოებლად ატეხილ ბრძოლაში! ფინანსისტები, მოვახშეები და როსკიპები, ოფიციალურ და ფარულ გარყვნილების წარმომადგენლები, ძალ-დამტანებელნი და გამაუპატიურებელნი, დიდი და პატარა ქურდები კანონის მიანაწილეობით, ყოველგვარი ხალხის გულის მღიჯნელი ტურები, აფთრები და ფოცხვერები აქ მარხიან, აქ, ამ „გარყვნილების სამარეს“ დააკვდა ერთი ნაწილი გადარჩენილ კომუნართა. მეორე მისი ნაწილი ამოჟლეტილ იქმნა ამავე „გარყვნილების სამარის“ გალავანთან. აქ უკანასკნელმა გმირებმა ბრწყინვალე მომავლის მხედრობისამ შექმნეს თავისი უკვდავების უკვდავი ძეგლი—„მოკავშირეთა კედელი“ (Mur des Féderès).

*
* *

წადი და ნახე ეს კედელი, მითხრა ერთხელ ერთმა ნაშთმა დიდებულის დრამისამ, ის ჩვენი მექაა. მე იქ ყოველ

*) იხ. Histoíre universelle. Lavisse et Rambaud.

ძლებელი, არის ობიექტი და სუბიექტი. აუცილებელი პირობა ყველა შედარების არის შესადარი ერთეული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მივიღებთ ურთიერთობას, როგორც ნაყოფს შედარებისას და ამნაირად გაუყოფელი (недѣлимое) ხდება აუცილებელი პირობა შედარებით გასაყოფთან (дѣлимое ე. ი. ყველა გასაყოფი შეგნებულია მხოლოდ გაუყოფელთა ერთ-მეორეს შორის ურთიერთობით, როგორც ერთეული შეგნებულია მისი ერთ გვარი ნაწილების ურთიერთობით და რიცხვი ერთგვარ ერთეულების ურთიერთობით. ერთი მხრით გვაქვს რა საფუძვლად, რომ წევრები ურთიერთობის, როგორც პირობები ურთიერთობის, სუბიექტი და ობიექტი, როგორც პირობები მცნების არიან მასალები, მატერიალები მცნებისა. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმასალოთ, უმატერიალოთ ე. ი. უმატერიოთ (მატერია როგორც საერთო (собирательное) სახელი მასალების) და მატერიას გარეშე არ შესაძლებელი არავითარი მცნება—მეორე მხრით დავემყარებით რა იმ დადგენილებას, რომლითაც რიცხვის მასალა ერთეულებია—გასაყოფის გაუყოფელი, ჩვენ დავასკვნით, რომ ნივთიერება, მატერია, როგორც გასაყოფი, შედის მცნებაში, როგორც ურთიერთობა მის ნაწილების, მის გაუყოფლობის ურთიერთობით და ამ ნაირად მსოფლიო ატომიზმი არის მიუცილებელი პრინციპი მსოფლიო მოვლენების შეგნებისა. ყველა ამასთან უნდა გვახსოვდეს მუდამ, რომ ყველა სამი ზომა (три измѣренія) ატომის ულეველად, დაუსრულებლად უახლოვდებიან ნულს, მაგრამ არასოდეს ნული არ შეიქმნებიან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ზომიანობა (измѣряемость) შეუძლებელი იქნებოდა, იმიტომ რომ ნულისაგან ზომა არ წამოდგება და ამას გარედ გაყოფასაც საზღვარი ექმნებოდა, რაც შეუძლებელია მანამ, სანამ ხელში რამე სიდიდე გვაქვს, ერთი სიტყვით ნივთიერება გაქრებოდა და ეს კი შეუძლებელია ნივთიერების გაუნადგურებლობის პრინციპით (неразрушимость матеріи). ამნაირად ერთი მხრით ნივთიერების უდაბლესი საზღვარი დაუსრულებლად (безконечно малая велпчина) მცირე სიდიდეა—მეორე მხრით ნივთიერების უმაღლესი საზღვარი დაუსრულებლად დიდი სიდიდეა, ესე იგი არ არის საზღვარი, ამიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ნივთიერების გარეშე გადარჩებოდა ან სივრცე უნივთიერებოთ, რაც შეუძლებელია, და ან არაფერი, რომელსაც სივრცე უჭირავს რაც აგრეთვე შეუძლებელია.

ყველა ნათქვამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, რომ მარადიულ და დაუბოლოვებელ მსოფლიოში არ არის არც დასაწყისი და არც ბოლო, არც მაღლობა და არც დაბლობა; მსოფლიოს მასალების დაუბოლოვებელ რიცხვში ყველა კომბინაციები დაუსრულებლად შესაძლებელი არიან; ადვილი წარმოსადგენია, რომ რაც პატარა უნდა იყოს რიცხვი, მის ურთიერთობას სხვა რიცხვთან აქვს გავლენა საბოლოვო ჯამზე და რომ რიცხვის უმცირესი ნაწილის დაკარგვა შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ ყველა რიცხვი დაიკარგებოდა. ამგვარადვე უმცირეს ნაწილსაც კი ნივთიერებისას ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც მთელ მსოფლიოს, რადგან გაქრობა ერთი ატომისა იქნებოდა გაქრობა მთელი მსოფლიოსი.

ეხლა თუ ერთი მხრით გავიხსენებთ, რომ ნივთიერება თავის უსაზღვრო დაუბოლოვებელ გაყოფაში უახლოვდება, მისწრაფვის ნულისკენ, მაგრამ ნულად მაინც ვერ გადაიქცევა, რადგან ნულთან ერთად ყველა მოქმედება ისპობა და დავათქვამთ ამნაირ სიდიდეს, ამნაირ თავის მისწრაფებაში განუსაზღვრელ სიმცირეს (безконеч. малая велич.) მეორე მხრით კი არ დავივიწყებთ, რომ ნივთიერების სამი ზომა წარმოადგენს ფორმას, მაშინ აუცილებელია დასკვნა,

---

წელს დავდივარ ხოლმე. ჩაუკვირდი ამ კედელს, ამ უკვდავ კედელს, და ნუ შეგეშინდება იმ საშინელებისა, რომელსაც იქ ნახავ—კომუნარების აჩრდილს მშიშარა არ უყვართ. ჩაუკვირდი კედელს, თითქო კირს წითელი, სისხლის ფერი მიულია და ქვა ბრჭყვიალებს ობოლ მარგალიტივით—ეს კრისტალად ქცეული ცრემლია კომუნარისა; მას თავის სიცოცხლე კი არ დაჰნანებია და იმისთვის კი არ ჩამოუგდია ეს ცრემლი, ის ცრემლია დამარცხებით ბრაზმორეულის თავისუფლებისათვის მებრძოლისა. ვინც თავისუფლებისათვის კვდება, თურმე, ის სიკვდილის დროს ასეთ ცრემლებსა ჰყრის. მე ხშირად აქ თვით კომუნარების აჩრდილსაც ვხედავ. ჩავაკვირდები კედელს მყუდრო ღამეში და დიდებულ გვამთა წყება მწკრივდება ხოლმე ჩემის თვალის წინ. ყოველი ქვა გარკვეულ სახეს იღებს: ვხედავ ფლურანს, მტრის ხმლით გაპობილის თავით; მის გრძელ და ფართო წვერებზე, მის სპეტაკ, სიყვარულითა და თავგანწირულებით სავსე სახეზე მისი უმანკო სისხლია გამხმარი; ვხედავ დაუვიწყარ და დაუღალავ მსახურს მუშათა თავისუფლებისას—ვარლენს; ვხედავ დელეკლიუზს, რომელსაც არ უნდოდა კომუნის დამარცხება ენახა და ერთ-ერთ უკანასკნელ ბარიკადაზე სადღესასწაულოდ გამოწყობილი, პატარა ტროსტით ხელში გავიდა და მტრის ტყვიას თავის გული განგებ გააგმირვინა; ვხედავ მილიერს, რომელიც მტერმა ნიშნად უუდიდესის შეურაცჰყოფისა ნეხვში ჩაჰკლა, ვხედავ სხვებს და კიდევ სხვებს...

ვაკვირდები უფრო ღრმად ამ კედელს, ვუცქერ, დიდ ხანს ვუცქერ, მერმედ თითქო ქვები, გაკრისტალებული სისხლი და ცრემლები, კომუნარის ჩონჩხის სახეს იღებს: ხელებს პარიზისაკენ იშვერს, თითქო ძვლების რაწკა-რუწკიც მესმის... ყურს ვუგდებ .. „მოკავშირეთა კედლის" სიღრმიდან საშინელი სიტყვები მესმის: „პარიზო, აკვანო ჩემის ტურფა იდეალისა! რამდენჯერ მომირწყავს შენი ქუჩები ჩემი უშრეტის სისხლით! არსებობ კიდევ, თუ გაათრებულმა მხეცმა, აფთარმა, მხედრულის სიგიჟის, კანონის უკანონობის და ლალატის გამოხატულებამ გადაგწვა და გადაგბუგა? რამდენი ხანია, რაც ჩვენ გაგვაუპატიურეს, სისხლი და ცრემლი გვადინეს, რამდენი ხანი გავიდა მას მერმედ, რაც შენ თვალწინ გალიფე ჩვენს მცირე წლოვან ბავშვებს თავს უჭყლეტდა და ზედ დაჰხარხარებდა, რამდენი ხანი გავიდა ჩვენის დედების და ცოლების გაუპატიურების დღიდან? სადა ხარ, პარიზო, რად არ გვესმის შენ შვილთა ხმა, რად არ გვესმის—კომუნა! პარიზო, შენ აკვანო ჩემის იმედებისა, თავს ნუ იტყუებ, ტყულია შენი ცივილიზაცია, ტყუილი და მოჩვენებაა შენი სიტურფე და სიდიადე, სიმახინჯეა შენი შეუდარებელი ხელოვნება, სიმახინჯე და სივაგლახეა შენი მეცნიერება, სიბილწე და გარყვნილებაა შენი გამოულეველი სიმხიარულე, თითონ შენ, პარიზო, აკვანო ჩემის მუდმივის და უცვლელის იდეალისა, უწმინდური სორო ხარ—უკომუნოთ.

ალარ არსებობს მონმარტრი, ფობურგსენტ-ანტუანი, მუფტარი? პარიზო, ჩემის იმედების აკვანო, შემომფიცე, თუ კიდევ არსებობ, რომ აღზრდი შენს შვილებს ჩვენის მტარვალების მომაკვდინებელ ზიზღსა და სიძულვილში".

პარიზისაკენ ვიხედები—იმას სძინავს ჯერ კიდევ, სძინავს, მაგრამ შიგ, მის გულში, რაღაც ფუსფუსებს, ალბად, მალე გათენდება. განთიადის მომასწავებელი გალის მამალი მალე იყივლებს.

კ. ო.

რომლითაც ფორმა ნივთიერებისაგან განუშორებელია, როგორც განუსაზღვრელი სიმცირის ნივთიერებისაგან ისე განუსაზღვრელი სიდიდის ნივთიერებისაგანაც. ცხადია ეს არა მარტო ლოღიკური მხრით, არამედ ექსპერიმენტალურადაც და აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ ნივთიერება უფორმოდ წარმოუდგენელია. მაშასადამე, რადგან შეუძლებელია მოძრაობა უიმისოდ, რაც მოძრაობს, რადგან შეუძლებელია შინაარსი უგარსოდ, უსახოდ, უფორმოდ, რადგან ნივთიერება რაც მცირე ან დიდი იყოს ის, განუყოფელია მოძრაობისაგან — როგორც შინაარსი გარსისაგან, რადგან არ არის ისეთი რიცხვი, რომელსაც თავისი თვისება არ ქონდეს, მიტომ არც მოძრაობა ნივთიერებაზე, არც შინაარსი გარეგნობაზე და vice versa არ არიან ერთი-მეორეზე უწინარესი არც დროსა და არც სივრცეში, არამედ წინაალმდეგ ყველა ამისა ნივთიერება, შინაარსი, მოძრაობა, დრო და სივრცე რიცხვი და თვისება, თანაარსი არიან დროში და სივრცეში. ყველა განსაკუთრებულ კომბინაციას ნივთიერებისას კი არ მოსდევს შედეგად განსაკუთრესული ფორმა, არამედ ნივთიერების ყველა განსაკუთრებულ კომბინაციის თანაარსია სათანადო განსაკუთრებული ფორმა. ნივთიერება და მოძრაობა, შინაარსი და ფორმა განუშორებელი არიან და არც ერთ მათგანს არავითარი უპირატესობა, უალრესობა არ აქვს მეორეზე. რადგან ყველა განუსაზღვრელ მცირე ნაწილს ნივთიერებისას აქვს თავის შესაფერი ენერგია, მოძრაობა, ფორმა, ამიტომ ყველა კომბინაციას ნივთიერების განუსაზღვრელ სიმცირის ნაწილებისას თანაარსად ახლავს კომბინაცია ამ განუსაზღვრელ სიმცირის ნაწილების ფორმებისა.

ამასთანავე შეუძლებელია ანტაგონიზმი და უკულმართობა ნივთიერების და მოძრაობის შორის, შინაარსის და ფორმის შორის, რიცხვისა და თვისების შორის, რადგან შეუძლებელია, ისეთი არსებობა რომელსაც თავისი გამომეტყველება არ ჰქონდესა; მოძრაობა ზნეობაა ნივთიერების ისე, როგორც ფორმა გამომეტყველებაა შინაარსისა; არ არსებობს ისეთი მცირე ნაწილი ნივთიერებისა, რომელსაც არ ჰქონდეს შინაგან მხარესთან ერთად გარეგანი მხარეც, წარმოუდგენელია ანტაგონიზმი ამ ორ მხარეს შორის, რადგან წარმოუდგენელია დაშორება დროსა და სივრცეში ამ ორი მხარეების. შეერთება ნივთიერების ნაწილების თანაარსია ამ ნაწილების ფორმების შეერთების და გართულება შინაარსის ნაწილების კომბინაციის, თანაარსია გართულების ამ ნაწილების ფორმების კომბინაციით. ობიექტში და სუბიექტში—მსოფლიოში არ არის წინაალმდეგობა ბუნებრივის და არა ბუნებრივის, რადგან ყველაფერი ბუნებრივია და მეტია ერთობა წინაალმდეგების იქ, სადაც ეს წინაალმდეგობა არ არსებობს.

მონიზმი ერთი მხრით არა თუ წარმოადგენს დაშორებას დროსა და სივრცეში ორ დაუშორებელ მხარეებისას, არამედ მეორე მხრით არის წარმოდგენა მსოფლიოზე მთელ თავის წესრიგში, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, რადგან მსოფლიოს ნიეთიერებას არ აქვს არც დასაწყისი, არც დასასრული, არც მაღლობა არც დაბლობა, ამიტომ ბუნებაში უთავ-ბოლოობაა, არ არის არც წესი და არც რიგი. ის, რაც ჩვენ ჩვეულებას არ ეწინაალმდეგება, ჩვენ მიგვაჩნია წესად, რიგად, ის კი, რაც ჩვენთვის არ არის ჩვეულებრივი—მიგვაჩნია უწესოდ და ურიგოთ. მიხინჯობა არ არის უწეს რიგობა და ჯიშის, ბუნების დამრღვევი, რადგან მსოფლიოში არ არის ისეთი მცირედი მოვლენა, რომლის მიზეზი არ იყოს ურთიერთობაში მსოფლიოს ყველა დანარჩენ მიზეზებთან ერთად; ისევ ის ბუნება, ისევ ის მსოფლიო წარმოშობს იმავე წესით, როგორც სრულ ორგანიზაციას, ისე უსრულ ორგანიზაციას.

ყოვლად შეუძლებელია რიგი და წესიერება იქ, სადაც გეგმა და განზრახვა არ არსებობს; მსოფლიოში კი არაფერი გეგმით და მიზნით არ არსებობს; არც მიკროკოსმი და არც მაკროკოსმი, არც კენჭი და არც მცენარე, არც ადამიანი და არც გეგმაზე აშენებული სახლე არ არიან გეგმაზე, წინ-განზრახულებაზე აშენებული და რადგან ნივთიერებას არ აქვს არც დასასრული და არც დასაწყისი, ამიტომ ცხადია, რომ შეგნება მსოფლიოზე არ შეიძლება იყოს არც მონისტური, არც ტელლეოლოგიური (მიზნიანი) და მაშასადამე არც არხიული, არამედ შინაარსი არის მატერიალისტური, პრინციპით მექანიკური და ურთი-ერთობით არა არქიული.

შ. გ.

## მუშათა მოძრაობა

### საფრანგეთი.

**გაფიცვა კურიერში.** ამ დღეებში გაზეთებმა გადმოგვცეს მოკლე ცნობები იმ უბედურების შესახებ, რომელიც კურიერში (საფრანგეთში) მოხდა და რომელმაც 1200 მუშა იმსხვერპლა. როგორც ეხლა ირკვევა, ეს ბედურება შედეგია კაპიტალისტთა ზომა-დაკარგულ მსუნაგობისა. პარიზის მუშათა დელეგატის რივის მოხსენებიდან სჩანს, რომ მუშებმა ადრევე უჩვენეს არსებულ საშიშროებაზე. სულ რამდენიმე დღით მუშაობის შეჩერება იყო საჭირო ხიფათის თავიდან ასაშორებლად. საჭირო იყო მიტოვებულ გვირაბების დაწმენდა, იქ შეგუბებულ გაზების გამონთავისუფლება და გამოტანა იქ მიტოვებულ ხის მატერიალისა, რომელიც საშინლად გაფიჩხებული იყო, და მაშასადამე, ნამდვილ ცეცხლის მიმზიდველ ნივთიერებად იყო გადაქცეული. მაგრამ კაპიტალი ხომ ამ გვარ მოსაზრებებზე არ უნდა შეჩერებულიყო! კაპიტალმა კაპიტალი უნდა შობოს, მიიწვოს, სხვა მას არაფერი სჯამს, ამისათვის მუშაობის განგრძობა გადაწყვეტილ იქმნა. მუშების დელეგატის ცხარე პროტესტის მიუხედავად, 8 მარტს ცეცხლი გაჩნდა გვირაბებში, მაგრამ მალე ჩააქრეს. მუშების დელეგატმა თავის 8 მარტის მოხსენებაში კიდევ ითხოვა გაწმენდა გვირაბებისა და ზომების მიღება ხიფათის თავიდან ასაცდენათ. მაგრამ ვინ გაუგონა! მსოფლიო ბაზარზე ათი-ათას ფუთობით ნახშირის გამოტანა—აი რა აინტერესებდა კაპიტალისტთა ამხანაგობას და არა მუშათა ცხოვრების უზრუნველ ყოფა. კიდევ მეორეჯერ გაჩნდა ცეცხლი გვირაბში №3. მაგრამ ამ შემთხვევაში ის უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მისი ჩაქრობა არ იქნა. ინჟენრებმა ცეცხლის ჩასაქრობად გადასწყვიტეს ცეცხლი მოემწყვიათ ერთ გვირაბში აგურებითა და სხვა ისეთ ნივთიერებით, რომელსაც ცეცხლი არ ეკიდება. მუშებმა, რომლებმაც ამ გვირაბების ყოველი კუთხე კარგად იციან, აქაც პროტესტი გამოაცხადეს და მოითხოვეს გვირაბში წყლის ჩაშვება ცეცხლის ჩასაქრობათ, მაგრამ გვირაბში წყლის ჩაშვება გამოიწვევდა მუშაობის რამდენისამე დღით შეჩერებას და ამისათვის მუშების თხოვნა არავინ შეიწყნარა. იოლად უნდოდათ წასულიყვნენ. ამ სიიოლის ძებნამ იმსხვერპლა 1200 მუშა. გვირაბში, სადაც ცდილობდნენ ცეცხლი დაეხუთათ, ისეთი ძლიერი აფეთქება მოხდა იქ დაგუბებულ გაზებისა, რომ ცეცხლი მოედო სხვა გვირაბებსაც—შედეგია ათასობით დამწვარი, დახუთული და აფეთქებისაგან დახოცილი მუშები. ამ საშინელ კატა-

სტროფის შედეგია ეხლანდელი გაფიცვა მუშებისა. ეს კუთხე საფრანგეთის ერთ ერთ კუთხეთაგანია, სადაც ნამდვილი „მილერანშჩინა“ მეფობს დეპუტატ ბალის თაოსნობით. ყოველ ექვს გარეშეა, მოძრაობა თვალსაჩინო შედეგს არ მოიტანს. ბალი მთავრობის **დაპირებით** დაკმაყოფილდება, მუშებსაც ურჩევს დაკმაყოფილდითო. კლემანსო, ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი, იყო უკვე დემოკრატიულად მუშათა შორის, ძალიან კარგი სიტყვები თქვა „ჭკვიანათ“ იყავით, ე. ი. დაგვიჯერეთ, რაც გითხრათ, და ჯარს აღარ მივმართავთ თქვენს ჭკუაზე მოსაყვანადაო.

—

## რუსეთი

მოსკოვში ხმები ახალ პოლიტიკურ გაფიცვის შესახებ თან და თან იკიდებს ფეხს. უმთავრესმა საგაფიცვო კომიტეტმა მიმართა ყველა მუშებს, პროფესიონალურ ორგანიზაციებს კითხვით: სცნობენ თუ არა ისინი შესაძლოთ 18-20 მარტისათვის პოლიტიკურ გაფიცვის მოხდენას. ჯერ-ჯერობით, როგორც ამბობენ, მხოლოდ რკინის გზის მუშათა კომიტეტმა შეიმუშავა პასუხი ამ კითხვაზე. კომიტეტი, იღებს რა მხედველობაში არსებულ პოლიტიკურ და პროფესიონალურ პირობებს, სრულიად საჭიროდ და შესაძლოთ სთვლის ამ გვარ გაფიცვას. კომიტეტი იმედოვნებს, რომ ეხლა მოხდენილი გაფიცვა მართლა საერთო შეიქნება და დეკემბრის საერთო გაფიცვის შეცდომებსაც ასცდებაო.

—

12 მარტს მოხდა კრება ლეფორტოვსკის და პრესნენკის ნაწილების მუშებისა პეტერბურგში. უნდა განეხილათ კითხვა პოლიტიკურ გაფიცვის ხელახლა დაწყებისა, რომელიც არის წარმოდგენილი საგაფიცვო უმთავრეს კომიტეტისაგან. უმეტესი ნაწილი ორატორებისა, სააღდგომო დღესასწაულების სიახლოვის გამო, ეხლა გაფიცვის მოხდენის წინააღმდეგი იყვნენ.

—

13 მარტს მოხდა კრება გაზეთის მუშებისა საკვირაო შაბაშის დამყარების შესახებ. მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ კვირაში ერთი დღის მოსვენება საჭირო არის მუშათა კლასის პირად და საზოგადოებრივ ნორმალურ ცხოვრებისათვის, კრება სწყვეტს შემოიღოს საკვირაო შაბაში და ავალებს ბეჭდვითი საქმის მუშათა ბიუროს გამოუცხადოს ეს გადაწყვეტილება რედაქტორებს, გამომცემლებსა და თანამშრომლებს საქმის მშვიდობიანად გასათავებლად“.

—

გაზეთ „რუს“-ს გაუგია, რომ განკარგულება მოუხდენიათ განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნონ რკინის გზის და ქარხანა-ფაბრიკების მუშებს. ამ მიზნით ჟანდარმთა რაზმიც გაუძლიერებიათ.

---

## რუსეთის ცხოვრებიდან.

—

13 მარტი. საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ხელ-ახლა იწყებს გამოძიებას სპირიდონოვის ქალის საქმისას. პროკურორს გადაეცა მასალა ამ ქალის მაწამებელთა წინააღმდეგ საქმის აღსაძვრელად. სპირდონოვის ქალს ლუჟენოვსკის მოკვლისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ ეს სასჯელი სამუდამო კატორგით იქმნა შეცვლილი. ყველა ის, რასაც გაზეთები სწერდნენ პოლიციელებისაგან ამ ქალის ტანჯვის და დამცირების შესახებ, მართალი გამოდგა.

პროცესის დროს სპირიდონოვის ქალმა შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: „ბატონო მსაჯულებო, მიმოიხედეთ გარშემო, აბა ჰხედავთ ვისმე კმაყოფილებითა და ბედნიერებით მხიარულთ? ესენი არც არიან, თვით იგინიც-კი, ვის მხარეზედაც ამ ჟამად გამარჯვებაა, ისინიც-კი არ არიან მხიარულნი, იმიტომ რომ იმათი დღესასწაულობა ჩქარა დასრულდება, იმიტომ რომ ყველა ფეხქვეშ გასრესილნი და ტანჯულნი ჩქარა განთავისუფლდებიან წამებისაგან და სხვა რამეს მოიფიქრებენ. მე ვშორდები ამ წუთი-სოფელს. თქვენ შეგიძლიანთ მომკლათ, შეგიძლიანთ უსაშინლესი სასჯელი მოიგონოთ ჩემთვის, მაგრამ რაც მე გადავიტანე, იმას-კი ვერაფერს ვერ მიუმატებთ“.

—

ვიღაცას გამოუგონია ტყვიის მტყორცნელი ავტომობილი და რუსეთ-იაპონიის ომის დროს მთავრობისათვის წინადადება მიუცია, გააკეთებინე და იხმარე მტრის წინააღმდეგ მამულის დასაცავადაო, მაგრამ მაშინ მთავრობას არც ფული ჰქონდა და არც მოხერხება ამ პროექტის სისრულეში მოსაყვანად. ეხლა კი, როცა ეს ტყვიის მტყორცნელი ავტომობილები დურნოვო-ვიტტეს შინაურ მტრის დასალახვრავად დასჭირდათ, ფულიც უშოვნიათ. მოხერხებაც გამოუჩენიათ და კიდეც შეუკვეთიათ საზღვარ გარეთელ მწარმოებელთათვის ხალხის სახოცი იარაღები. ეს ყოველთვის აგრე იყო — შინაურ მტერს მეტის სისასტიკით ებრძოდა მთავრობა და ბურჟუაზია.

—

**შმიდტისა და სამის მატროსის გვამების ზღვაში გადააგდეს.** გაზ. „რუს“-ს ადესიდან ატყობინებენ 16 III-ს: გამართლდა ის საშინელი ამბავი, რომ შმიდტისა და სამის მატროსის გვამები, სევასტოპოლიდან მიღებულ ბრძანების თანახმად, კუნძულ ბერეზინაზე საძმო სასაფლაოდან ღამე ამოთხარეს და კუბოებიანად ზღვაში გადააგდეს. საზოგადოების მრისხანებასა და აღშფოთებას საზღვარი აღარა აქვს ამ ბარბაროსობის გამო. ადმირალმა ჩუხნინმა უარი უთხრა ა. პ. იზბაშს, რომელმაც შმიდტის უკანასკნელი აღსარება და წერილები სთხოვა—მომეციო. შმიდტი სიკვდილის წინად მთელ ღამეს სწერდა ამ წერილებს. ყველა ესენი პროკურორს გადაეცემა.

—

როგორცა სჩანს გაზეთებ „რუს“-ისა და „ნაშა ჟიზნი“-დან, ქალაქებში კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია იმარჯვებს, მაზრებში—ზომიერი ელემენტები, მაგრამ მათშიაც უმეტესი ასეთ თუ ისეთ კონსტიტუციონურ რეჟიმის მომხრეა. ასე რომ სახელმწიფო სათათბირო, „რუს“-ის აზრით, ოპოზიციონური იქნება.

—

**მწერალთა კავშირი.** ამ უკანასკნელ დროს მომხდარ საშინელ ამბებით აღელვებული მწერალთა კავშირი ხელახლად შეუდგა თავის მოქმედებას. 7 მარტს ნ. ფ. ანენსკის თავმჯდომარეობით შესდგა კავშირთა პეტერბურგის ჯგუფის საზოგადო კრება. თავმჯდომარის წინადადებით იქ დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს შმიდტისა და იმის ამხანაგთა ხსოვნას.

შემდეგ კომიტეტმა იქ მყოფთ აუწყა ჩიტაში მომხდარ საქმის მდგომარეობა. იქ სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა მწერლებს, „ვერხნეუდინსკი ლისტოკ“-ის თანამშრომლებს, მისრკის, ოკუნცოვსა და შიპკმანს. მაგრამ უმაღლესად ეპატიათ სიკვდილით დასჯა და სამუდამო კატორგა მიესაჯათ.

**ᲙᲘᲔᲕᲘ.** 9-III. სამხრეთ დასავლეთის რკინის გზათა უფროსმა საიდუმლო განკარგულება მიიღო გზათა მინისტრის ნემეშაევისაგან, რომ არც ერთს თვალსაჩინო არგილებზე არაფრის გულისთვის პოლონელები არ დანიშნოს.

**იარანსკი.** 9-III. სოფელ ვესკინოს, შეშურის ვოლოსტში გაუგზავნიათ 136 კაზაკი და მრავალი სტრაჟნიკი აღელვებულ გლეხთა დასაწყნარებლად. დახოცილთა გვამები ჯერ ისევ უპატრონოდ თურმე ჰყრია. გამომძიებელი წავიდა ამ უბედურების ადგილას.

**ეკატერინბურგი,** 9-III. ზლატოუსტის სახაზინო ქარხნის მუშებს უარი უთქვამთ სახელმწიფო საბჭოში წარმომადგენლის არჩევანზე.

„ნაროდნია გაზეტა“ ამბობს, მოსკოვში დაბეჯითებით ამბობენო, ვითომ რევოლიუციონერები ემზადებიან ტერორულ მოქმედებით ხელი შეუშალონ საგუბერნიო საარჩევნო კრებასაო. ამ მხრის მცხოვრებნი ძალიან შეწუხებულნი თურმე არიან იმით, რომ ხმა დადის მოსალოდნელია ცეცხლს მისცენ იმათი სახლ-კარობა.

მოსკოვში მიუღიათ სარწმუნო ცნობა, რომ საგანგებო დაცვის წესებს მანამ არ მოხსნიან მოსკოვში, ვიდრე სახელმწიფო საბჭო არ იქნება მოწვეულიო.

**ყაზანი,** 11-III. ჟანდარმთა სამმართველოში ქუჩიდან გადაისროლეს ყუმბარა. სახლის მოწყობილება განადგურდა. სახლს არაფერი ვნებია. ყუმბარის მსროლელნი მიიმალნენ.

**სარატოვი,** 12-III. სატეხნიკო სასწავლებლის მოწაფეთა საპირფარეშო ოთახში აფეთქება მოხდა. აფეთქებამ მთელი შენობა საძირკვლამდე შეარყია. ამ ოთახში მტვრად აქცია ფეჩი, კარები და ფანჯრები. არავინ დაშავებულა და არც აფეთქების მიზეზია გამორკვეული.

**როსტოვი დონზე,** 13-III. საკომისიო კონტორა „სოიუზ“-ში ბერდანის თოფები და პატრონები აღმოაჩინეს. ადმინისტრაციამ კონტორა დახურა.

**ეკატერინოსლავი,** 12-III. სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ანარქისტ კლიენკოსი. ამას ბრალად ის ედებოდა, რომ ტყვია ესროლა პრაპორშჩიკ კაისტროვსო. კლიენკომ განაცხადა, სალდათებისაგან ვიცავდი თავს და უცაბედათ დავჰკერი კაისტროვიო. კლიენკოს 15 წლით კატორგა მიუსაჯეს.

---

## ქიზიყი და განმათავისუფლებელი მოძრაობა

(კორესპონდენცია)

### I

ქიზიყი თავის ყოფა-ცხოვრებით ბევრად განირჩევა საქართველოს სხვა კუთხეებისაგან. აქაურებს ძველად არ უგემნიათ მძიმე უღელი ბატონ-ყმობისა. ამისათვის უფრო წელში გამლილნი, თავისუფლების მოყვარე და შეძლებითაც ღონიერნი იყვნენ, ვინემ სხვაგან. როდესაც ჩვენს ქვეყანაში რუსეთის მმართველობა შემოვიდა, ქიზიყის მდგომარეობაც და მისი სვე-ბედის ჩარხი უარამალა დატრიალდა. ის, რაც ძველ-ქართველ მთავრობისათვის სასურველი და საჭირო იყო, ახალ, რუსის მთავრობისათვის, მავნებელი შეიქმნა და დაიწყო ხალხის გადასხვაფერ-გადაგვარება, საუკუნოებით შესისხლ-ხორცებულ ზნე-ჩვეულებათა და წეს-კანონთა ფეხქვეშ გათელვა, ერთის სიტყვით ძველის დანგრევა უსამართლო ძალმომრეობით და ახალის გამეფება. იმ ხნიდან მოკიდებული დღემდის, მმართველები არ ასვენებდნენ და განსაკუთრებულ ღონისძიებებს ხმარობდნენ, რომ რაც შეიძლება ეს თავისუფალი, ეკონომიურად ღონიერი ხალხი ძირს დაეცა — გაენადგურებინათ და ძირიან-ფესვიანათ აღმოეფხვრათ ხალხის გულიდან წარსულის მოგონებაც და თავისუფლების სურვილიც მომავალში; ბატონ-ყმობის მძიმე უღლის მაგიერ ერთი ათად მძიმე უღელი დაადგა ახალმა მთავრობამ. ახალმა მთავრობამ, რა კი ცოტა ფეხი მოიმაგრა, თავის განზრახვათა შესასრულებლად, ჩაუყენა ქიზიყს საეკზეკუციოთ ჯარები, რომელთაც ისე ულვთოთ აიკლეს და გაანადგურეს ხალხი, რომ დღესაც დაღათ აზის ქიზიყს და შიშის ზარსა გვრის მისი მოგონება და ეკზეკუციის სახელის გაგონებაც კი. დღესაც დედები თავის პატარა შვილებს აშინებენ, რომ დააჩუმონ, „მოვიდა რუსიო“. აქედან ცხადათ სჩანს, თუ რა საშინელება იყო ახალი მთავრობა ახალ ქვეშევრდომთათვის. როდესაც მთავრობამ გული მოიოხანა ხალხის დარბევა-დაშინებით და მიიყვანა უკიდურესს მდგომარეობამდის, ეკზეკუციების მაგიერ, გაამეფა ესრედ წოდებული ჩაფარურიადნიკები, რომელნიც ჯარებზედ ნაკლებ არ არბევდნენ და აოხრებდენ ხალხს, ხარჯების და ბეგრის გადახდის დროს; თუ ხალხს ძალა აღარ შესწევდა შეესრულებინა მთავრობის მოთხოვნანი, ესენი ჩაუდგებოდნენ ხოლმე სოფლებს ეკზეკუციათ და ულვთოდ, დაუსჯელად აწიოკებდენ ტყავ გამძვრალ გლეხებს; სწორედ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას მოგაგონებდათ ამათი თარეში; კანონი და სამართალი არ არსებობდა და ვინ შეუშლიდათ ხელს. ამგვარად, სისტემატიურად მოსდევს მთავრობა თავის გეგმის განხორციელებას, რომ დახშოს ხალხში თავისუფლების გრძნობა, დაანელოს ხალხის გონება, გადააგვაროს და გარდაქმნას უსიტყვო ცხოველებად და სწველოს, როგორც ძროხები, რავდენიც და როგორც მას სურს...

ქიზიყის მკვიდრნი წინეთაც და ახლაც ირიცხებიან სახელმწიფო გლეხებათ. მიწის და ტყის მფლობელობის ფორმა სათემოა, თუმცა წინეთ, როდესაც ქართველი მეფეები იყვნენ, მკვიდრთა საკუთრებათ ითვლებოდა, მაგრამ ახალ მთავრობას, რასაკვირველია, ეს არ მოეწონა, საკუთრების უფლება ჩამოართვა და მიწაც და ტყეც გამოაცხადა სახელმწიფო საკუთრებად. მფლობელობა კი ისევ ძველებური, სათემო დარჩა; ყველა სოფელს განსაზღვრული მიწა-წყალი უჭირავს, როგორც ძველად უფილა. დღეს გლეხს არა აქვს უფლება გაყიდოს ან დააგირაოს ის მამული, რომელსაც ამუშავებს, უცხო პირზედ, თუ არა მეზობელ გლეხზევე; ამ შემთხვევაში მყიდველი მაინც არ არის კერძო მესაკუთრე, არამედ ნაყიდი მიწა ისევ სახელმწიფოდ ითვლება. (მხოლოდ მოქალაქეებს დაუტოვა მთავრობამ საკუთრებათ, თუ ვისმე დაუჭერია მამული, ან გლეხებისათვის წაურთმევია ვალში და სხ.). მთავრობამ საუკეთესო მიწები ჩამოაგლიჯა ქიზიყს, რაც წინეთ ეჭირა ხალხს, და მისთავაზა რუსეთიდამ გადმოსახლებულებს, ან კერძო მოქალაქეებს მისცა იჯარით, ზოგიც ხელშეუხებლად არის. ამ ზომით მთავრობის აგენტებმა იქამდის მიიყვანეს ქიზიყელები, რომ მიწა საკმარისი აღარა აქვთ და დაიწყო ერთი ჩხუბი და თავპირის მტვრევა სოფლებს შორის; ედავებიან მეზობელი სოფლები ერთი მეორეს, არა ჩემი იყო წინეთ ეს ნაჭერი მიწისა და არა ჩემიო. ბევრჯელ სისხლიც დაიღვარა ამის გამო და მთავრობასაც ხომ ეს უნდოდა, გადაეკიდებინა სოფლები ერთიმეორეზედ და დაერღვია მათ შორის მშვიდობიანი და ძმური განწყობილება, რომ თვით სიამოვნებით ხელები ემტვრია... იმ მიწების ლალას, რომლებიც მთავრობამ ხალხს ჩამოართვა, დღესაც ხალხი იხდის, იმისდა მიუხედავად, რომ სხვანი სარგებლობენ. ამ საგნის გამო ბევრი საჩივრები იყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენი პოლიციური მართვა-გამგეობა, ყურიც არავინ გაიბერტყა და ასე უსამართლოდ ახდევინებენ ლალას და სარგებლობით კი არა ასარგებლობენ. ტყეების შესახებაც იგივე შეიძლება ვთქვათ, რაც მიწის შესახებ ვთქვით. ტყით სარგებლობისათვის მცხოვრებნი იხდიან განსაზღვრულ გადასახადს, მაგრამ სარგებლობა მისი ისე უკულმართად არის დაწესებული თვითნება ჩინოვნიკების გამო, რომ ბევრი ფულსაც იხდის, მაგრამ რჩეობს ფეხი არ გასდგას ტყეში, ვინაიდან ტყის მცველები აბეზჩიკ-ლესნიჩები გზაში ატყავებენ ხალხს, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი აღებული აქვს. ერთი ნედლი სახრის მოჭრის გულისათვის ცემა-ტყეპა და დარბევა არ ასცდებათ. ამისათვის ყველაზედ მეტად ქიზიყი შევიწროებულია ტყის უქონლობით. სახელმწიფო, საერობო და მიწის ლალის გადასახადები, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ემატებოდა ქიზიყს და ახლა იმ სიდიდემდეს ავიდა, რომ ორი

მესამედს გლეხებისას გადახდის თავი აღარა აქვს და ძალაუნებურად ვარდება ვალში, ისე, რომ დღეს ქიზიყში დიდი უმრავლესობა გლეხებისა ვალშია ჩაფლული და თავისი სიცოცხლე უნდა გაატაროს მევახშების ჯიბის გასასქელებლად, თვითონ კი ნახევრად მშიერი უნდა დღე და ღამ იმუშაოს. ესრედ წოდებულ გზის და კალოის ბეგარამ ხომ სული ამოართვა გლეხებს; რომ თავიანთ გზებს აკეთებდენ და თავის მინდვრებში სწყვეტავდენ კალოას, ამაზედ ვინ რას იტყოდა, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ქიზიყელებს ერეკებოდნენ კალოის გასაწყვეტად სადღაც განჯის გუბერნიაში, ან სახელმწიფო გზების გასაკეთებლად დუშეთის და სხვა მხარეებში, უფასოდ, თავისი ხურით მთელი სამი, ოთხი და მეტი თვეც. ან კიდევ მთელი მაზრის გლეხების დამნიავებელ და დამჩაგვრელ სიღნაღის მოვაჭრეებისათვის სახელოსნო გზების გასაკეთებლად მშიერ-მწყურვალენი, როდესაც თავისი სარჩო-საბადებელი, ყანები და ვენახები ელუპებოდა ხალხს... ენა ვერ გამოსთქვამს იმ ცემა-ტყეპას, დარბევა დაწიოკებას, რომელიც თან ახლდა ამ ვაგლახ ბეგრიანობას. ყველა ამებს, ეს მეოცე წელიწადია, ზედ დაერთო სამხედრო ბეგარა. ამან ხომ მთლა დასცა ხალხი და მოუნელებელ ჭირად გაუხდა. ახალგაზდა ყმაწვილ კაცებს ერეკებიან მოუსავლეთს, ნახევარი ცოცხალი აღარ ბრუნდება და ვინც დაბრუნდა ის ოჯახს აღარ გამოადგა. აღარც მუშაობა შეუძლიანთ და მეტ ბარგად გაუხდა ხალხს. ვიდრე სამსახურში არიან, მშობლები უკანასკნელ გროშებს იმათ უგზავნიან, რომ შიმშილით და სიცივით არ დაგვეღუპნენ, ჯანდაბას გადაღუპული შვილებით; ამ ბეგარამაც არა ერთი და ორი ოჯახი დაღუპა და ჩააგდო ვალში, იმას ნუღარ ვიტყვით, თუ რამდენი მუშა ხელი აკლდება ყოველ წელს ქიზიყს.

განწირული

---

## ადგილობრივი ქრონიკა

✦ ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ ნამესტნიკისთვის გადაუციათ ადრესი, რომლითაც **ულრმეს მადლობას უცხადებენ** ქუთაისის გუბერნიაში მშვიდობიანობის დამყარებისათვის.

✦ **დაჭრა.** 22 მარტს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, ტფ. საბალოსნო სკოლასთან, ელისაბედის ქუჩაზე, სამი კაცი მივარდა ტრამვაის ვაგონს და რევოლვერი ესროლა ვატმანს კრამარევს. კრამარევს ერთი ტყვია მოხვდა კისერში და მეორე ლოში გამოვარდა, მეორე—ფეხში. მძიმედ დაჭრილი ვატმანი იქვე წაიქცა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს. მსროლელნი გაიქცნენ დიდუბისაკენ ელისაბედის ქუჩით. გაქცეულებმა დაინახეს პოლიციელი, რომელმაც ბერდანა დაუმიზნა, ამიტომ საბალოსნო სკოლის ბაღში გადახტნენ და სადღაც წავიდნენ. პოლიციელმა თოფი ორჯელ გაისროლა. არ გაიარა 15 წამმა, რომ ამ **ბაღს ჯარი** შემოერტყა. დაიწყეს მთელი ბაღის, საწყობების, კუთხეების მარნის და შენობების ჩხრეკა. ერთ ადგილას მიადგნენ გაქცეულების კვალს. გზა-გზა ახალი სისხლი იყო. ეტყობოდა, ერთი გაქცეულთაგანი დაეჭრა პოლიციელს. ბოლოს ამ სისხლის კვალიც დაიკარგა, რის შემდეგაც სკოლის ზედამხედველს ხუნდაძეს უბრძანეს მოსამსახურეები და მოსწავლენი ვვიჩვენეთო. ღამის ათი საათი იყო და ყველას ეძინა. მეტი ჯანი არ იყო, ხუნდაძემ გააღვიძა მოსწავლენი, რომლებიც გაატიტვლეს. მაგრამ მათ შორის დაჭრილი არავინ აღმოჩნდა. ჯარი მაინც ხელცარიელი არ წავიდა და დაატუსაღა სკოლის მზარეული ალლაძე, მებაღე ხურიძე და მეეზოვე შუბლაძე. მეორე დილით ტრამვაის გამგეობაში შეიკრიბნენ ვატმანები და გამოუცხადეს დირექტორს, სამუშაოდ აღარ გავალთ, ვიდრე არ დაგვიცავთო. დირექტორმა ურჩია, კომისია აირჩიეთ, რომ თქვენი საქმე მოაწყოს და მეც ყოველ შემწეობას გაგიწევთო. ამორჩეულ იქმნა ექვსი კაცი. ამ არჩევნებმა დილის $9^1/_2$ საათამდის გასტანა მუშაობა მხოლოდ ამ დროიდან დაიწყეს. („ცნ. ფურც.").

---

## იოჰანე მოსტი

(ნეკროლოგი).

17 მარტს (ახ. სტილით) ამერიკის შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა რედაქტორ გამომცემელი Die Freiheit-ისა. მოსტი დაიბადა ქ. აუგსბურგში (ბავარია) 1846 წ. და მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლე გაიარა პროპაგანდა-აგიტაციაში. 1868 წ. მან დაიწყო ბერლინში სარევოლიუციო გაზეთის გამოცემა რომელიც მალე იქნა შეჩერებული, რადგან მოსტი რამდენიმე წლით ციხეში იქნა დამწყვდეული. ექვსი წლის შემდეგ ის შემნიცში (საქსონია) არჩეულ იქმნა დეპუტატად რეიხსტაგში, მაგრამ პარლამენტარიზმს ვერ შეეგუა მისი რევოლიუციონარი ტემპერამენტი, მისი მებრძოლის გული და სული. ბისმარკის რეაქცია მას საშინლად სდევნიდა სწორედ მის რევოლიუციონარიზმისათვის. 1878 წ. ის იძულებული გახდა, ლონდონში შეეფარებინა თავი. მისი გაზეთი Die Freiheit, რომელიც დღემდის მისი რედაქტორობით გამოდიოდა, დააარსა მან ლონდონში 3 იანვარს 1879 წელს. ამდროს მოსტი თავის თავს კიდევ სოციალ-დემოკრატს უწოდებდა, მაგრამ ისეთი სოციალ-დემოკრატი იყო, რომელთან ანარქისტებს მშვენიერი განწყობილება ჰქონდათ. მის გაზეთში, სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა რეინსდორფი, რომელიც სიკვდილით დასჯილ იქმნა იმპერატორისთვის რევოლვერის სროლისთვის. ამ რეინსდორფის გავლენამ ხელი შეუწყო მოსტის გაანარქისტობას. 1881 წ. 1 მარტს რუსეთში მომხდარ ამბების შესახებ დაწერილი სტატიისათვის მოსტს მიუსაჯეს 18 თვის კატორგა. როცა მის სასჯელს ვადა გაუვიდა, ის რამდენიმე კვირით (ოქტომბერი და ნოემბერი 1882 წ.) შვეიცარიაში წავიდა იქაურ გერმანელთა შორის საագიტაციოთ, შემდეგ (დეკემბერში 1882 წ.) გადაესახლა თავის გაზეთითურთ ნიუ-იორკში, სადაც სიკვდილამდე დარჩა.

მოსტი ძლიერი ორატორი იყო. ის ნამდვილი ტიპი იყო სახალხო აგიტატორისა. 30 წლის განმავლობაში მას, შეიძლება ითქვას, ერთი დღეც არ მოუსვენია. არც ციხე აშინებდა, არც მარტოობა. შეერთებულ შტატებშიც ორმოცდა ხუთმეტის წლის მოხუცი ერთი წლით ციხეში იქნა დამწყვდეული მაკ-კინლეის გარდაცვალებაზე დაწერილ სტატიისათვის. მან თავისი შეუდარებელი ორატორული და პოლემისტური ნიჭით დიდი გავლენა იქონია ამერიკაში ანარქისტული მოძრაობის დაფუძნებაზე და განვითარებაზე საზოგადოთ და კერძოთ იმ მოძრაობაზე, რომელიც 1885 წელს დაიწყო და რომელიც გათავდა ჩიკაგოს საშინელის დრამით. ერთი სიტყვით, სადაც კი დაუდგამს ფეხი მოსტს—გერმანიასა, ავსტრიასა, შვეიცარიასა, ინგლისსა, თუ ამერიკაში—ყველგან შესძლო თავისი წვლილის შეტანა იმ უზარმაზარ მოძრაობაში, რომელიც დღითი-დღე იზრდება ევროპაში. სოციალ-რევოლიუციონარულ ისტორიისათვის მოსტი თავის მოქმედებით დაუვიწყარია.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ერისთავი-მდივნისა**

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შ რ ო მ ა". ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.